სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

მთავარი შრომის ინსპექტორის მიმართვა

2023 წელი ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გარდამტეხი აღმოჩნდა. საქართველომ კიდევ ერთი, დიდი ნაბიჯი გადადგა ევროკავშირისკენ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევა სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი რეფორმების შედეგად მივიღეთ, მათ შორის, არის ჩვენი მოქალაქეების შრომითი უფლებების რეალიზება და ღირსეული შრომის პირობების შექმნა, რომლის სადარაჯოზეც ყოველდღიურად ჩვენი ინსპექტორები დგანან.

2023 წელი მნიშვნელოვანი იყო ქვეყანაში მინიმალური ხელფასის სტანდარტის დამკვიდრების მიმართულებითაც. სწორედ ამ წელს განხორციელდა პირველი პრეცედენტი, სამედიცინო სექტორისთვის მინიმალური ანაზღაურების დაწესებისა, რომლის აღსრულებასაც შრომის ინსპექციის სამსახური უზრუნველყოფს.

გაფართოვდა უწყების მანდატი შრომითი მიგრაციის მიმართულებითაც, რაც მოიცავს, როგორც შრომითი იმიგრანტების, ასევე, საშუამავლო კომპანიების შემოწმებასა და ზედამხედველობას. რეფორმის საფუძველზე კიდევ უფრო მეტად მოხდება შრომითი მიგრაციის რეგულირება და დასაქმებულთა უფლებების დაცვა.

2024 წლისთვის არაერთი რეფორმა და სიახლეა დაგეგმილი, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ევრო დირექტივების იმპლემენტაციაა ჩვენ კანონმდებლობაში, რაც იქნება საქართველოში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამატებითი გარანტია. ეს ცვლილებები დაამკვიდრებს თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს ჩვენ ქვეყანაში!

2023 წლის საქმიანობის შემაჯამებელი მიმოხილვა

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შრომის ნორმების აღსრულებაზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში 2023 წლის საანგარიშო პერიოდში:

- ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **3765** ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1636** ობიექტი, **მათ შორის, აღსანიშნავია, რომ:**
  - **განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 81 904 -მდე დასაქმებულ პირს;**
  - გაიცა **14 173 მითითება,** რომლისთვისაც ჯამში შედგა **2513 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.**
  - **2021 წელთან შედარებით 23%-ით გაზრდილია იმ შემოწმებული ობიექტების რაოდენობა, რომელთაც სრულად გამოასწორეს გამოვლენილი დარღვევები პირველივე გადამოწმებისას.**
- სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ მონაცემების აღრიცხვის შესაბამისად:
  - **2023 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018 წელთან შედარებით შემცირებულია 42%-ით.**
- საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა **1779** (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება, რომელმაც პირველადი ინსპექტირების შედეგად მოიცვა **1395 ობიექტი. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ:**
  - **განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 72 000-მდე დასაქმებულ პირს;**
  - **გაიცა 2620 მითითება,** რომლისთვისაც ჯამში შედგა **670 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;**
  - წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაეწია **1090** დაინტერესებულ პირს.
- **იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის მიმართულებით:**
  - „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N112 დადგენილების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში განხორციელდა **303 ინსპექტირება 303 ობიექტზე,** რომელთაგან 292 იყო გეგმური, ხოლო, 11 არაგეგმური.

გარდა ზემოხსენებული აქტივობებისა, **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედახედველობის** ფარგლებში:

- ფუნქციონირებს **3 აკრედიტებული საგამოცდო ცენტრი**;

- ☐ სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის **სტატუსი მიენიჭა 23 ორგანიზაციას (29 სხვადასხვა ლოკაციაზე);**
- ☐ აქტიურად ფუნქციონირებს სიმულაციური გამოცდის პორტალი: https://oshtesting.moh.gov.ge/iExam/public/exam
- ☐ ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია;[1]
- ☐ ქვეყნის მასშტაბით აღრიცხულია **3117 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი,** მათ შორის, აკრედიტაციის ცენტრის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა ერთიან ბაზაში ქვეყნის მასშტაბით ასახულია სულ **2638 სერტიფიცირებული სპეციალისტ**ის შესახებ ინფორმაცია, ხოლო სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, **479 პირია,** რომელსაც უფლებამოსილება აქვს, შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციები;
- ☐ შეიქმნა და სამსახურის ვებგვერდზე აიტვირთა სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გზამკვლევი და სახელმძღვანელო რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ორგანიზაციებისთვის.[2]

შრომით ნორმებზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში:

- ☐ განხორციელდა **35 საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრა, რომელიც გაიმართა 1700-მდე** პირთან;
- ☐ ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების კვირეული -„შენც გახდი ინსპექტორი“ და "ინსპექტორის რჩევები";
- ☐ მიღებული განცხადებების საფუძველზე წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია შრომით უფლებებთან **დაკავშირებით გაეწია 1090 დაინტერესებულ პირს.**
- ☐ შეიქმნა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალური **ვებგვერდი (lio.moh.gov.ge) და სამსახურის სტრუქტურაში ადაპტირდა შრომის ინსპექციის სამსახურთან არსებული საკონსულტაციო ცენტრი/ცხელი ხაზი 1575,** რომელმაც საანგარიშო პერიოდში უპასუხა **11 000-ზე მეტ** შემომავალ ზარს და მოთხოვნის შესაბამისად დაინტერესებულ პირებს გაუწია კონსულტაცია როგორც შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, ნორმების განმარტებასთან;
- ☐ შრომით ნორმებთან დაკავშირებით თემატურად, ზოგად თუ სექტორულ დონეზე შემუშავებული **55 სასწავლო/საინფორმაციო ვიდეორგოლი განთავსდა** შრომის ინსპექციის **Youtube არხზე;**

---

[1] სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/accreditation.php?lang=1&page=1

[2] სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გზამკვლევი და სახელმძღვანელო რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ორგანიზაციებისთვის იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/publication.php?lang=1&id=1

შინაარსი

მთავარი შრომის ინსპექტორის მიმართვა 2

2023 წლის საქმიანობის შემაჯამებელი მიმოხილვა 3

დიაგრამები და ცხრილები 7

თავი 1. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები 9

1.1 შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მიმოხილვა 10

1.2 შრომის კანონმდებლობაში 2023 წელს განხორციელებული ცვლილებები/სიახლეები 11

თავი 2. სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა და ადამიანური რესურსები 13

2.1 შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა 14

2.2 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია 16

თავი 3. მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია 18

3.1 შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობა 20

3.2 შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმოხილვა 25

3.2.1 შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებზე ზედამხედველობა 32

3.2.2 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები 36

3.2.3 ბავშვთა შრომა 37

3.2.4 სამედიცინო სექტორში განხორციელებული ინსპექტირებები 40

თავი 4. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები 41

თავი 5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამაზე ზედამხედველობა 54

5.1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ 55

5.2 სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები 57

5.3 საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები 59

5.4 აკრედიტებული სასწავლო ორგანიზაციების მონიტორინგი 61

5.5 შეხვედრა სწავლების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან 63

5.6 საგამოცდო ტესტური დავალებები ელექტრონული პროგრამისთვის 63

5.7 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო 64

თავი 6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 65

6.1 განხორციელებული საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები 68

6.2 შეხვედრები სტუდენტებთან 71
6.3 შრომის უსაფრთხოების კვირეული და კამპანია - „შენც გახდი ინსპექტორი“ 71
6.4 საინფორმაციო კამპანია „ინსპექტორის რჩევები“ 72
6.5 ცნობიერების ამაღლების მიზნით მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში 72
6.6 სამსახურის ცხელი ხაზის (15-75) საქმიანობის შედეგები 75
თავი 7. თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ 78
7.1 მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტები 79
7.2 თანამშრომელთა გადამზადება 80
თავი 8. საერთაშორისო თანამშრომლობა 83
8.1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) თანამშრომლობა 85
8.2 საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობა 87
8.3 ევროკავშირის პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ 89
8.4 მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობა 89
8.5 გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ურთიერთობა 90
8.6 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები 91
თავი 9. მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭო საქმიანობის მიმოხილვა 94
თავი 10. სამომავლო გეგმები 96
დ ა ნ ა რ თ ი 98

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა №1 16

2023 წელს დასაქმებულ პირთა რაოდენობა კვარტლებისა და სქესის მიხედვით

დიაგრამა №2 16

შრომის ინსპექტორთა რაოდენობა 2023 წლის კვარტლებისა და სქესის მიხედვით

დიაგრამა №3 20

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად

დიაგრამა №4 21

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში

დიაგრამა №5 22

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში

დიაგრამა №6 23

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებული ჯარიმების კატეგორიზაციის ფარდობითი სიხშირეები

დიაგრამა №7 26

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში

დიაგრამა №8 26

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში

დიაგრამა №9 27

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად

დიაგრამა №10 33

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილი იქნა დისკრიმინაციის შემთხვევები

დიაგრამა №11 33

სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით

დიაგრამა №12 34

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები გამოვლინდა

დიაგრამა №13 35

სამუშაო ადგილზე არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობის ფაქტების შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით

დიაგრამა №14 36

იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმებული სამუშაო ადგილები რეგიონულ და სექტორულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად

დიაგრამა №15 38

18 წლამდე არასრულწლოვანთან მიმართებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების მქონე ობიექტების რაოდენობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად

დიაგრამა №16 40

საქართველოს ორგანული კანონზე „საქართველოს შრომის კოდექსი“-ზე და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

დიაგრამა №17 44

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით

დიაგრამა №18 46

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

დიაგრამა №19 46

ფატალური შემთხვევები რეგიონულ და სექტორულ დონეზე

დიაგრამა №20 49

დაზიანებათა ტიპების ფარდობითი სიხშირეები

დიაგრამა №21 49

სხეულის დაზიანების ლოკაციის ფარდობითი სიხშირეები

დიაგრამა №22 50

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში

დიაგრამა №23 51

სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით

დიაგრამა №24 51

სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით

დიაგრამა №25 53

2018-2023 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობა

დიაგრამა №26 56

2023 წელს სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების რაოდენობა თბილისსა და სხვა ქალაქებში

დიაგრამა №27 56

მსმენელთა რაოდენობა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე მსმენელთა რაოდენობა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე

დიაგრამა №28 58

2023 წელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის შედეგად სერტიფიცირებულ/არასერტიფიცირებულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი

დიაგრამა №29 59

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით

დიაგრამა №30 60

2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა მოდულების მიხედვით

დიაგრამა №31 62

სასწავლო თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ შეუსაბამობათა ფარდობითი სიხშირეები 2023 წ

დიაგრამა №32 75

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა თემატიკის შესაბამისად

დიაგრამა №33 76

საანგარიშო პერიოდში ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად

დიაგრამა №34 77

საანგარიშო პერიოდში ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად

დიაგრამა №35 77

საანგარიშო პერიოდში საჩივართან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად

ცხრილი №1 99

შრომითი ნორმების/შრომით ნორმებზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები

ცხრილი №2 100

2023 წლის საანგარიშო პერიოდში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე განხორციელებული განხორციელებული პირველადი და განმეორებით ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გაცემული 14 173 მითითების გადანაწილება

ცხრილი №3 28

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული პირველადი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები

ცხრილი №5 43

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგადგარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და საქართველოში დასაქმებულ შრომით იმიგრანტთა მიხედვით

ცხრილი №4 39

საქართველოს ორგანულ კანონზე ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-ზე ზედამხედველობისას 18 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ გამოვლენილი დარღვევები

ცხრილი №6 48

კლასიფიცირებული საწარმოო უბედური შემთხვევები სქესობრივ ჭრილში ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) 2016-ის შესაბამისად

ცხრილი №7 57

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები

ცხრილი №8 95

მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

თავი 1. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები

შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექციის სამსახური არის „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს 2021 წლის პირველი იანვრიდან.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, კერძოდ, იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა, რომელსაც განეკუთვნება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებისა და შრომითი უფლებების ნორმების დაცვა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან და შრომის თავისუფლებასთან.

შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის, ახდენს ობიექტის საქმიანობის შემოწმებას გეგმური ან არაგეგმური ინსპექტირების ფარგლებში, უზრუნველყოფს შრომითი ნორმების შესრულებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევას, შრომითი ნორმების დაცვის ხელშემწყობი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდებას, ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას, შრომითი ნორმების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღებასა და განხილვას, ასევე, საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავებას.

2023 წელს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის გაზრდილი მანდატის ფარგლებში, სამსახური ახორციელებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულთა (ექიმი, ექთანი) საათობრივი ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობას. ასევე, 2023 წლის პირველი სექტემბრიდან სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, მისთვის მინიჭებული ახალი მანდატის ფარგლებში, ზედამხედველობას ახორციელებს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების შესრულებაზე, რაც დაკავშირებულია ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის პერიოდში შრომითი იმიგრანტის ძირითად უფლებებთან და გარანტიებთან, ასევე, საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირებისათვის დადგენილი მოთხოვნებისა და შრომით ემიგრანტთან საქართველოში დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვის უზრუნველყოფასთან.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი ნორმატიული აქტებით: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას, ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- √ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- √ კანონიერება;
- √ პროფესიონალიზმი;
- √ კონფიდენციალურობის დაცვა.

შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, რომლის აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წლიდან ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge). აქვე, აღსანიშნავია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით დაგეგმილია აღნიშნული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა უცხო ენაზე.

შრომის კანონმდებლობაში 2023 წელს განხორციელებული ცვლილებები/სიახლეები

2023 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტების შესაბამისად, საქართველოს კანონდებლობაში ასახული იქნა **9 ნორმატიული აქტი.** მათ შორის, დამტკიცდა 1 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ 2014 წელს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ერთი დირექტივის შესაბამისად, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირის კანონმდებლობას.

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 01 აპრილის №01-104/ო ბრძანების „ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ფარგლებში მომზადებული პროექტების შესაბამისად დამტკიცებულ იქნა „ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის №167 დადგენილება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის უშუალო ჩართულობით შემუშავებულ იქნა:

- „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად გაფართოვდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (უმცროსი ექიმი, ექთნის თანაშემწე, ბებიაქალი და სანიტარი) ჩამონათვალი, რომელთათვისაც განისაზღვრა მინიმალური საათობრივი ანაზღაურება;

- „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომლის თანახმად, მინიმალური საათობრივი ანაზღაურების მიმღები სამედიცინო პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვის თარიღად განისაზღვრა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 25 რიცხვი;

- „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რომლითაც, ერთი მხრივ, ინსპექტირების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის შენახვის საკითხთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების პროცესის მიზნებიდან, ხოლო მეორე მხრივ, სამსახურისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, განისაზღვრა სამსახურის მიერ ფოტო/ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა. რაც შეეხება, ინსპექტირების პროცესის ამსახველი ფოტო/ვიდეო ჩანაწერის შენახვისა და განადგურების პროცედურებს, აღნიშნული დადგინდა შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

- „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი. პროექტში განხორციელებული ცვლილებები გამომდინარეობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ პროგრამის სასწავლო კომპონენტებისა (თეორიული და პრაქტიკული მოდულები) და სასწავლო პროცესის სრულყოფისა და ორგანიზებულად გამართულობის მიზნებიდან.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში (№1 ცხრილი).

თავი 2. სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა და ადამიანური რესურსები

2.1 შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული მიმოხილვა

შრომის ინსპექციის სამსახური ,,შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2021 წლის პირველი იანვრიდან ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უფლებამოსილება განსაზღვრულია სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული თუ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების საფუძველზე, მათ შორის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-119/ნ ბრძანება, რომლის შესაბამისად სამსახური მთავარი შრომის ინსპექტორის ხელმძღვანელობით ფუნციონირებს 167 საშტატო ერთეულით. სტრუქტურაში კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილეების რაოდენობაც - არანაკლებ 2 მოადგილე. შრომის ინსპექციის საქმიანობის სპეციფიკისა და დამოუკიდებელი სტრუქტურის ფუნქციონირების საჭიროებებიდან გამომდინარე, სამსახური ცენტრალიზებული სისტემით ფუნქციონირებს და აქვს სამ დონიანი სტრუქტურული სისტემა, რომელიც შედგება 6 პირველი დონის (დეპარტამენტი), 19 მეორე დონის (სამმართველო) და 4 მესამე დონის (განყოფილება) სტრუქტურული ერთეულებისგან.

სამსახურის პირველი დონის სტრუქტურული ერთეულებია:

შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი	შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტი	მონიტორინგისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი
ადმინისტრაციული დეპარტამენტი	იურიდიული დეპარტამენტი	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იხილეთ სამსახურის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურა სურათზე:


სსიპ- შრომის ინსპექციის სამსახურის
მთავარი შრომის ინსპექტორი
მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილე
მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილე
შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტი
შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველო
იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) ზედამხედველობის განყოფილება
სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობის სამმართველო
შრომით უფლებებზე ზედამხედველობის იმერეთის რეგიონული სამმართველო
შრომით უფლებებზე ზედამხედველობის აჭარის რეგიონული სამმართველო
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო
ფინანსური რესურსების მართვისა და აღრიცხვის სამმართველო
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო
მონიტორინგისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი
ოპერატიული ინფორმაციის მოძიების, მონიტორინგისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის სამმართველო
იურიდიული დეპარტამენტი
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
ადმინისტრაციული საჩივრებისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველო
საჩივრების განხილვის განყოფილება
ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო
საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტატისტიკისა და ანალიტიკის სამმართველო
საქმისწარმოების სამმართველო
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრი (სამმართველო)
შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტი
სამშენებლო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო
სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველო
მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილება
მსუბუქ მრეწველობასა და მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის სამმართველო
მომსახურების სექტორზე ზედამხედველობის განყოფილება
შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის იმერეთის რეგიონული სამმართველო
შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის აჭარის რეგიონული სამმართველო

2.2 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-119/ნ ბრძანების შესაბამისად, სამსახური მთავარი შრომის ინსპექტორის ხელმძღვანელობით ფუნციონირებს 167 საშტატო ერთეულით.

სამსახურში საშტატო თანამდებობის მიხედვით კანდიდატები შეირჩევიან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ვაკანსიის გამოცხადებისას ინფორმაცია თავსდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ოფიციალურ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge).

N1 დიაგრამაზე ასახულია შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა კვარტლებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

2023 წელს დასაქმებულ პირთა რაოდენობა კვარტლებისა და სქესის მიხედვით



	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
კაცი	85	84	85	90
ქალი	68	67	70	71

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

N2 დიაგრამაზე ასახულია შრომის ინსპექტორთა რაოდენობა 2023 წლის კვარტლებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

შრომის ინსპექტორთა რაოდენობა 2023 წლის კვარტლებისა და სქესის მიხედვით



	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
კაცი	55	52	55	59
ქალი	34	33	36	35

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

შენიშვნა: *საანგარიშო პერიოდში, სამსახურში დასაქმებული შრომის ინსპექტირების განმახორციელებელი პირების რაოდენობა შტატით განსაზღვრული 123 ერთეულიდან შეადგენდა 105 საშტატო ერთეულს.*

დეტალური ინფორმაცია სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულ პირთა შესახებ თანამდებობების გათვალისწინებით კვარტლურ დონეზე წარმოდგენილია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.[3]

აქვე აღსანიშნავია, რომ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური თუ ინფრასტრუქტურული განვითარების მიმართულებით 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გეოგრაფიული ხელმისწავდომობის გაზრდის, ყველა სახის დარღვევაზე დროულ რეაგირებასა და პრევენციის მიზნით, საჭირო ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე და აქვს აჭარისა და იმერეთის რეგიონული სამმართველოები, რომლებიც სამსახურის ძირითად მოვალეობას - შრომითი ნორმების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახდენენ რეგიონულ დონეზე და ექვემდებარებიან თემატურად ზედამხედველობის განმახორციელებელ დეპარტამენტებს.

2023 წლის თებერვლის თვეში სამსახურმა ბათუმში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რეგიონული ოფისი გახსნა, რომელიც მოქალაქეებს შრომითი უფლებების დაცვის, ასევე სხვა საჭირო პროცედურების განხორციელების მიმართულებით კონსულტაციებს გაუწევს. [4]

ახალი რეგიონალური ოფისის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ოფისი უზრუნველყოფილია ინსპექტირების განხორციელებისთვის და შედეგების დამუშავებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, მათ შორის, მოქალაქეთა და სამართალდამრღვევთა შეხვედრების ოთახებით. ოფისი, ასევე, უზრუნველყოფილია დისტანციური შეხვედრებისა და ინსპექტირებისათვის შესაბამისი აღჭურვილობით.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად მიმდინარეობდა იმერეთის რეგიონში მდებარე რეგიონული სამმართველობის ოფისის სარემონტო სამუშაოები, რომლის გახსნა დაგეგმილია 2024 წლის პირველ კვარტალში. საანგარიშო პერიოდში, ასევე, განხორციელდა რეგიონული სამმართველოების ტექნიკური გამართვა/ინვენტარიზაცია და სხვადასხვა ტიპის ტექნიკური სამუშაოები.

[3] იხ. სამსახურში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში https://lio.moh.gov.ge/publiclist1.php?lang=1&id=20230109162721465954252 6 (29.12.2023)

[4] ოფისის მდებარეობა იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/contact.php?lang=1 (29.12.2023)

თავი 3. მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია

2023 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზედამხედველობას ახორციელებს შრომის უსაფრთხოებაზე, შრომით უფლებებზე, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიმართულებაზე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებში დასაქმებული ექიმებისა და ექთნების მინიმალურ საათობრივ ანაზღაურებაზე, შრომითი მიგრაციის კანონით განსაზღვრულ შრომით ნორმებსა და შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის მართვის საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით სამსახური ინსპექტირებებს ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:

- „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი“ საქართველოს №112 დადგენილება;

ზემოხსენებულის შედეგად, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში **5 847** აქტივობა, ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა, რომლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით სამსახურის მიერ გაიცა **16 793 მითითება.** პირველადი ინსპექტირებების შედეგად, ჯამში, **3 334** სამუშაო ადგილი შემოწმდა.

მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები შემდეგნაირად ნაწილდება**:**

- ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **3765** ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1636** ობიექტი;
- საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდა **1779 ინსპექტირება** (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე). განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1395 ობიექტი/სამუშაო ადგილი;**
- „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №112 დადგენილების შესაბამისად განხორციელდა შემოწმება **303 ობიექტზე.**

3.1 შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობა

2023 წელს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად **3765** ინსპექტირება (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ გამოსწორებამდე) განხორციელდა. განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1636** ობიექტი, მათ შორის:

- გეგმურად **1081 ობიექტი;**
- არაგეგმურად **555 ობიექტი:**
  - საჩივრის საფუძველზე 50;
  - უბედური შემთხვევის საფუძვლით 201;
  - სხვა არაგეგმური ინსპექტირება 304 ობიექტზე.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 81,904-მდე დასაქმებულ პირს.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2023 წელს განხორციელებული განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში გადამოწმებულ იქნა 2022 წელს შემოწმებული 210 ობიექტი.

2018 წელთან შედარებით ინსპექტირებები გაიზარდა 4,228%-ით, ხოლო შემოწმებული სამუშაო ადგილები 1,780%-ით.

2021 წელთან შედარებით ინსპექტირებები გაიზარდა 251%-ით, ხოლო შემოწმებული სამუშაო ადგილები 267%-ით;

პირველადი ინსპექტირების შედეგად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ-2016 (NACE Rev.2)) შესაბამისად წარმოდგენილია №3 დიაგრამაზე:

დიაგრამა №3

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად



სექცია	სექციის დასახელება
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები

F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება
T	შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არაიდენტიფიცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე ზედამხედველობის მიზნით ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ინსპექტირება განხორციელდა საქართველოს მასშტაბით. თბილისსა და რეგიონებში პირველადი ინსპექტირების შედეგად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები და რაოდენობა წარმოდგენილია №4 და №5 დიაგრამაზე.

დიაგრამა №4

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დიაგრამა №5

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში



თბილისი 914	აჭარა - 239	გურია - 9	მცხეთა-მთიანეთი - 33	იმერეთი - 103	კახეთი - 72
სამეგრელო-ზემო სვანეთი - 82	სამცხე-ჯავახეთი - 31	ქვემო ქართლი - 118	შიდა ქართლი - 30	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 5	

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხრის მიზნით გაიცა **14 173 მითითება.** სამართალდამრღვევთა მიმართ ჯამში შედგა **2513 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.**

პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების შედეგად **გაცემული 14 173 მითითების** რაოდენობა წარმოდგენილია დანართში №2 ცხრილში. გაცემული მითითებებიდან ყველაზე ხშირად გამოვლენილ იქნა შემდეგი დარღვევები:

- 9% - ობიექტზე არ არის ჩატარებული სწავლება/ინსტრუქტაჟები;
- 9% - დასაქმებულები არ არიან აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- 6% - ობიექტზე არ არის შეფასებული რისკები;
- 6% - ობიექტი არ არის აღჭურვილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- 6% - ობიექტზე არ არის განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი;
- 6% - ობიექტზე არ არის შემოწმებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- 5% - ობიექტს არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

- 5% - ობიექტზე არ არის გამოყოფილი საშიში ზონები;
- 4% - ობიექტზე არ აღირიცხება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები, საშიში შემთხვევები და პროფესიული დაავადებები;
- 4% - დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი უბედური შემთხვევის დაზღვევით.

გამოვლენილი დარღვევების შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა საქმიანობის შეჩერება, გაფრთხილება და ჯარიმა.

გაფრთხილება არსებული დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, დამსაქმებლისთვის გონივრული ვადის მიცემას გულისხმობს. პირველი გაფრთხილების შემდგომ, გონივრული ვადის გასვლისთანავე განმეორებითი ინსპექტირების შედეგად დაფიქსირდა, რომ **829 ობიექტმა** სრულად გამოასწორა დარღვევები.

2021 წელთან შედარებით 23%-ით გაზრდილია იმ შემოწმებული ობიექტების რაოდენობა, რომელთაც სრულად გამოასწორეს გამოვლენილი დარღვევები პირველივე გადამოწმებისას.

აღსანიშნავია, რომ პირველივე გადამოწმებისას ობიექტების 51%-მა აღმოფხვრა გამოვლენილი დარღვევები.

სამსახურის მიერ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესაბამისად, **2527 შემთხვევაში** გამოყენებულ იქნა შემდეგი **სანქცია:**

- გაფრთხილების თაობაზე **1523;**
- შეჩერების თაობაზე **361**, მათ შორის, განმეორებით შეჩერების თაობაზე 15 შემთხვევა;
- ჯარიმის თაობაზე **643.**

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გამოყენებული ჯარიმების კატეგორიზაციის ფარდობითი სიხშირეები წარმოდგენილია N6 დიაგრამაზე:

დიაგრამა №6

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებული ჯარიმების კატეგორიზაციის ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

როგორც დიაგრამიდან ჩანს ყველაზე მეტად ადმინისტრაციული სახდელის სახედ ჯარიმა გამოყენებულ იქნა:

- გაცემული მითითების შეუსრულებლობის საფუძვლით 555 შემთხვევაში;
- უბედური შემთხვევის შეუტყობინებლობის საფუძვლით 38 შემთხვევაში;
- რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის საფუძვლით 21 შემთხვევაში;
- განმეორებითი შეჩერების საფუძვლით 15 შემთხვევაში;
- თვითნებურად სამუშაოების გაგრძელების საფუძვლით 14 შემთხვევაში.

როგორც აღინიშნა, კრიტიკული დარღვევისთვის სამუშაო პროცესის შეჩერების გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს მიემართა 361 ჯერ. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამუშაოს შეჩერების თაობაზე სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა.

საანგარიშო პერიოდში, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შედგენილ სამართალდარღვევებზე სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში სულ შემოვიდა 96 საჩივარი, ხოლო 67 სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე საჩივრით სამართალდამრღვევებმა მიმართეს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

3.2 შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის მიმოხილვა

2023 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომითი უფლებების ზედამხედველობის მიმართულებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა **1779 ინსპექტირება** (პირველადი და შემდგომი, დარღვევების სრულ აღმოფხვრამდე). ჩატარებული ზედამხედველობის ფარგლებში პირველადი ინსპექტირებების შედეგად შემოწმდა **1395 ობიექტი/სამუშაო ადგილი**, მათ შორის:

- გეგმურად **512 ობიექტი;**
- არაგეგმურად **883 ობიექტი:**
  - საჩივრის საფუძველზე 311;
  - საკუთარი ინიციატივით 572.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ინსპექტირებები შეეხო 72,000-მდე დასაქმებულ პირს.

2021 წელთან შედარებით ინსპექტირებები გაიზარდა 444%-ით, ხოლო შემოწმებული სამუშაო ადგილები 460%-ით;

2022 წელთან შედარებით ინსპექტირებები გაიზარდა 74%-ით, ხოლო შემოწმებული სამუშაო ადგილები 147%-ით;

აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული განმეორებითი ინსპექტირებები შეეხო 384 სამუშაო ადგილს.

აღსანიშნავია, რომ შრომითი უფლებების დარღვევებზე მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობის ზრდის პარალელურად (2021 წელთან შედარებით მომართვიანობა გაიზარდა 215%-ით, 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 123%-ით) **არაგეგმური ინსპექტირებების რაოდენობა დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძვლით იზრდება და 2021 წელთან შედარებით 764%-ით, ხოლო 2022 წელთან შედარებით 91 %-ით არის გაზრდილი.**

რაც შეეხება, სამსახურში შრომითი უფლებების დარღვევაზე წარმოდგენილ საჩივრებს, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში აღირიცხა 516 საჩივარი, რომელთაგან **ინსპექტირება განხორციელდა 311 ობიექტზე, მათ შორის:**

- ☐ **180 საჩივარზე** დარღვევის არსებობის გამო გაცემულ იქნა ოქმი/გადაწყვეტილება;
- ☐ **76 საჩივარზე** დარღვევის არარსებობის გამო შედგენილ იქნა დადგენილება;
- ☐ **31 საჩივარზე** საქმე შეწყვეტილ იქნა დარღვევის აღმოფხვრის/მორიგების გამო.
- ☐ **24 საჩივარზე** კი მიმდინარეობს საქმისწარმოება.

გარდა ინსპექტირებებისა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა მიღებული განცხადებების საფუძველზე <u>წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია</u> **შრომით უფლებებთან დაკავშირებით გაუწია 1090 დაინტერესებულ** პირს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მასშტაბით რეგიონულ დონეზე შემოწმებული ობიექტების გადანაწილების ფარდობითი სიხშირეები და რაოდენობა წარმოდგენილია №7 და №8 დიაგრამებზე:

დიაგრამა №7

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-სა და „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების ფარდობითი სიხშირეები თბილისსა და რეგიონებში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დიაგრამა №8

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-სა და „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში



თბილისი 643	**აჭარა - 125**	**გურია** - 43	**მცხეთა-მთიანეთი - 20**	**იმერეთი - 164**	**კახეთი - 82**	**სამეგრელო-ზემო სვანეთი - 78**
	სამცხე-ჯავახეთი - 57	**ქვემო ქართლი - 118**	**შიდა ქართლი - 53**	**რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 12**		

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული ობიექტების/სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად წარმოადგენილია №9 დიაგრამაზე

დიაგრამა №9

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად



სექცია	სექციის დასახელება
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
F	მშენებლობა
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
H	ტრანსპორტი და დასაწყობება
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
N	ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება
S	სხვა სახის მომსახურება

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

2023 წლის საანგარიშო პერიოდის ფარგლებში, შრომით უფლებებზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, ჯამში, გაიცა **670 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი**. მათ შორის, **459 - გაფრთხილების,** ხოლო **211 - დაჯარიმების** შესახებ. ამასთანავე, საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ შედგენილ იქნა 319 დადგენილება.

2023 წელს პირველადი და განმეორებითი ინსპექტირებების შედეგად გაცემული **მითითებების საერთო რაოდენობა 2620-ს შეადგენს.** აღსანიშნავია, რომ განმეორებითი ინსპექტირებების (პირველადი და შემდგომი გადამოწმებები) შედეგების შესაბამისად, საანგარიშო წლის მონაცემებით, გაცემულია **397 შემოწმების აქტი**, რაც გულისხმობს, ობიექტების მხრიდან სამსახურის მიერ გაცემული მითითებების სრულად შესრულებას.

2023 წელს საქართველოს ორგანულ კანონზე ,,საქართველოს შრომის კოდექს''-ზე განხორციელებული პირველადი ინსპექტირების ფარგლებში გამოვლენილი 2407 დარღვევა მუხლებისა და პუნქტების შესაბამისად ასახულია №3 ცხრილში:

ცხრილი №3

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსი''-სა და ,,შრომითი მიგრაციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული პირველადი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევები

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 1	ჯამში	11
1.3	11	
მუხლი 2	ჯამში	75
2.1	13	
2.2	1	
2.3	61	
მუხლი 4	ჯამში	7
4.2	3	
4.5	2	
4.7	2	
მუხლი 11	ჯამში	3
11.1	3	
მუხლი 12	ჯამში	128
12	2	
12.1	9	
12.2	30	
12.3	9	
12.4	78	
მუხლი 14	ჯამში	584
14.1.ბ	11	
14.1.გ	91	
14.1.დ	34	
14.1.ე	113	
14.1.ვ	66	
14.1.ზ	133	
14.1.თ	97	
14.1.ი	38	

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
14.2	1	
მუხლი 16	ჯამში	70
16.5	70	
მუხლი 17	ჯამში	12
17.1	11	
17.2	1	
მუხლი 18	ჯამში	10
18.2	1	
18.4	8	
18.5	1	
მუხლი19	ჯამში	9
19	9	
მუხლი20	ჯამში	97
20.2	95	
20.8	2	
მუხლი 21	ჯამში	4
21	1	
21.2	1	
21.4	2	
მუხლი 22	ჯამში	8
22	3	
22.1	1	
22.3	4	
მუხლი 23	ჯამში	99
23.1	2	
23.2.გ	1	
23.4	96	

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 24	ჯამში	468
24	2	
24.1	1	
24.2	76	
24.4	23	
24.5	18	
24.7	48	
24.8	5	
24.9	2	
24.11	293	
მუხლი 25	ჯამში	20
25.3	7	
25.4	13	
მუხლი26	ჯამში	2
26	1	
26.4	1	
მუხლი 27	ჯამში	194
27	15	
27.1	41	
27.2	118	
27.3	15	
27.4	2	
27.5	3	
მუხლი 28	ჯამში	3
28.3	3	
მუხლი30	ჯამში	97
30	57	

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
30.2	1	
30.3	1	
30.4	38	
მუხლი31	ჯამში	96
31	10	
31.1	26	
31.2	13	
31.3	37	
31.4	3	
31.5	4	
31.6	3	
მუხლი32	ჯამში	9
32.1	3	
32.2	1	
32.3	1	
32.4	4	
მუხლი 33	ჯამში	1
33	1	
მუხლი 34	ჯამში	4
34.1	3	
34.2	1	
მუხლი 35	ჯამში	4
35	1	

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
35.1	3	
მუხლი 36	ჯამში	26
36	26	
მუხლი 37	ჯამში	5
37	4	
37.3	1	
მუხლი 38	ჯამში	1
38	1	
მუხლი41	ჯამში	210
41	10	
41.1	81	
41.2	5	
41.3	39	
41.4	75	
მუხლი42	ჯამში	5
42.1	5	
მუხლი 43	ჯამში	30
43	1	
43.2	29	
მუხლი 44	ჯამში	18
44	18	
მუხლი45	ჯამში	5
45.1	3	

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
45.6	2	
მუხლი46	ჯამში	41
46	3	
46.1	1	
46.1.ე	1	
46.2.ი	4	
46.4	32	
მუხლი 58	ჯამში	1
58	1	
მუხლი 59	ჯამში	11
59.1	8	
59.2	3	
მუხლი 60	ჯამში	28
60	1	
60.1	27	
მუხლი 70	ჯამში	9
70	8	
70.1	1	
მუხლი 79	ჯამში	1
79.1	1	
მუხლი 80	ჯამში	1
80.1.ბ	1	

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

„შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 13	**ჯამში**	**2**
13^3		1
13^2 .1."დ"		1

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის 75-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური 2023 წლის 1-ლი სექტემბრიდან განისაზღვრა „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების (შემდგომ – შრომითი ნორმები) ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შრომის კანონმდებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ. აღნიშნული მანდატის ფარგლებში, 2023 წელს განხორციელდა 2 [ორი] ადგილობრივი დამსაქმებლის ინსპექტირება. ხსენებული ინსპექტირების ფარგლებში გამოვლინდა „შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13^3 და მე-13^2 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის შედეგადაც გაცემულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ხსენებული ნორმები გულისხმობს შრომით იმიგრანტსა და ადგილობრივ

დამსაქმებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებისა და შრომითი იმიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების პირობების დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ ,,შრომითი მიგრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საშუამავლო კომპანიის მიერ საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციისა და სერტიფიცირების ზედამხედველობის ფარგლებში, განხორციელდა 5 [ხუთი] მონიტორინგი. "საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 აგვისტოს №292 დადგენილებით დამტკიცებული წესის №1 დანართის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიცირების პირობებთან ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის დადგენის მიზნით, შედგენილ იქნა 5 (ხუთი) შესაბამისობის აქტი, აქედან 4 (ოთხი)სრული შესაბამისობისა და 1 (ერთი)ნაწილობრივი შესაბამისობის თაობაზე.

№3 ცხრილში წარმოდგენილი დარღვევების ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი"-თ განსაზღვრული დებულებებიდან ყველაზე ხშირად გამოვლენილ იქნა შემდეგი დარღვევები:

1	**მუხლი 14 - შრომითი ხელშეკრულების შინაარსი - აღრიხული დარღვევების 24%**
შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შესაბამისად განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესის, თანამდებობასა და შესასრულებელი სამუშაოს სახეს ან აღწერილობასთან დაკავშირებული დებულებების თაობაზე ცნობის გაცემის საკითხს.	
2	**მუხლი 24 - სამუშაო დროის ხანგრძლივობა -აღრიხული დარღვევების 19%**
ნორმირებულ სამუშაო დროსთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა, სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა, შესვენებასთან, მათ შორის, არასრულწლოვნებთან მიმართებით დადენილი დებულებების დარღვევა, დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიურ დოკუმენტებთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
3	**მუხლი 41 - შრომის ანაზღაურების ფორმა, ოდენობა და გაცემის დრო--აღრიხული დარღვევების 9%**
შრომის ანაზღაურებასთან, მის ფორმასთან, ოდენობასთან და გაცემასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დამსაქმებლის მიერ დაყოვნებული ანაზღარებისას დადგენილ გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
4	**მუხლი 27 - ზეგანაკვეთური სამუშაო -აღრიხული დარღვევების 8%**
ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან, მის ხანგრძლივობასთან და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზრაურებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დამსაქმებლის მიერ 1 კვირით ადრე წერილობით შეტყობინების ვალდებულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დასაქმებულის მიერ ანაზღარების გარეშე შესასრულებელი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
5	**მუხლი 12 - შრომითი ხელშეკრულების დადება -აღრიხული დარღვევების 5%**
შრომითი ხელშეკრულების ფორმასთან და ვადასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებასთან დაკავშირებული დებულებების	

დარღვევა. უვადო შრომითი ხელშეკრულების დადების ვალდეებულებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
6	**მუხლი 23 - შრომის შინაგანაწესი-აღრიხული დარღვევების 4%**
შრომის შინაგანაწესთან, მის გაცნობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. შრომის შინაგანაწესში შრომის ანაზღაურების გაცემის დროის, ადგილის და წესის განსაზღვარსთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დამსაქმებლის მიერ დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში ასახვისა და მათი შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
7	**მუხლი 20 - შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა-აღრიხული დარღვევების 4%**
შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების მხარეთა შეთანხმებით შეცვლასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დასაქმებულის მიერ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების, ბავშვის მოვლის გამო შვებულების, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების დასრულების შემდეგ იმავე სამუშაოზე იმავე შრომის პირობებით დაბრუნებასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
8	**მუხლი 30 - უქმე დღეები-აღრიხული დარღვევების 4%**
დასაქმებულისათვის უქმე დღეების ნაცვლად სხვა დასვენების დღეებით სარგებლობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. დასამებულის მიერ უქმე დღეებში მუშაობისათვის ზეგანაკვეთური ანაზღარების გადახდასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	
9	**მუხლი 31 - შვებულების ხანგრძლივობა-აღრიხული დარღვევების 3%**
შვებულების ხანგრძლივობასთან, ანაზღაურებადი და ანაზღარებისგარეშე შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებული დებულებების დადღვევა. კოდექსით დადგენილ შემთხვეევბში დასაქმებულისათვის დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას დასაქმებულის გამოუყენებელი შვებულების შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად ანაზღრების ვალდებულების დარღვევა. ბათილია შრომითი ხელშეკრულების ის პირობა, რომლითაც ანაზღაურებადი შვებულებით ყოველწლიურად სარგებლობის უფლება დათმობილია ან უარყოფილია.	
10	**მუხლი 2 - შრომითი ურთიერთობა-აღრიხული დარღვევების 3%**
შრომითი ურთიერთობის წარმოშობასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისა და შერჩევის ეტაპზე დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევა.	

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს დარღვევის თაობაზე სამართალდარღვევის ოქმები გასაჩივრდა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურში 121 შემთხვევაში, ხოლო საერთო სასამართლოებში გასაჩივრებულ იქნა საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული 34 გადაწყვეტილება.

3.2.1 შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებზე ზედამხედველობა

2023 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად, სამუშაო ადგილებზე, როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე, მიმდინარე, თუ დასრულებულ შრომით ურთიერთობებში **დისკრიმინაციული მოპყრობა ჯამში დადგენილ იქნა 67 სუბიექტის მიმართ**. გარდა ამისა, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით, **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა**, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა **10 სუბიექტის** მიმართ.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში **სულ შემოვიდა 102 საჩივარი** დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის/ების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელთან შედარებით დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის მოთხოვნით მომართვიანობა 278%-ით გაიზარდა.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების საფუძველზე, ინსპექტირება განხორციელებულია **60 სუბიექტთან მიმართებით. 19 საჩივართან დაკავშირებით** კი, ამ დრომდე მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება.

<u>**რაც შეეხება, გამოვლენილ შემთხვევებს:**</u>

ა) სამსახურის მიერ, **საკუთარი ინიციატივით** საჯარო წესით გამოქვეყნებული ვაკანსიების აქტიური მონიტორინგის შედეგად წინასახელშეკრულებო ეტაპზე, კერძოდ ვაკანსიის გამოქვეყნებისას, პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის დარღვევა დადგენილ იქნა **61 სუბიექტის მიმართ**. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა მიერ საჯარო წესით გამოქვეყნებული ვაკანსიების ტექსტები შეიცავდა დისკრიმინაციისგან დაცულ სხვადასხვა ნიშნებს, მათ შორის:

- ☐ **39 ვაკანსიაში** გამოიკვეთა დასაქმებაზე კანდიდატთა შეზღუდვა ასაკის ნიშნით;
- ☐ სქესის ნიშნით შეზღუდვა კი, გამოიკვეთა **30 ვაკანსიის** შემთხვევაში;
- ☐ გარეგნობის ნიშნით კანდიდატთა გამორჩევას **5 ვაკანსია** ითვალისწინებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ <u>ერთსა და იმავე ვაკანსიაში არათანაბარი მოპყრობისაგან დაცული რამდენიმე ნიშანი იკვეთებოდა</u>.

ზედამხედველობის შედეგად, წარმოდგენილი 61 მეწარმე სუბიექტთან მიმართებით ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა **გაფრთხილება** და გაიცა შესაბამისი მითითებები დარღვევების სრულად აღმოსაფხვრელად.

ბ) დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში, როგორც მიმდინარე, ასევე დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **დისკრიმინაცია დადგენილ იქნა 6 სუბიექტის მიმართ.** ხსენებულ საქმეებთან მიმართებით, რომელზეც დადგენილ იქნა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა, დაცულ ნიშნებს შორის იყო:

- ☐ **განსხვავებული მოსაზრება** - 3 შემთხვევა;
- ☐ **ვიქტიმიზაცია** - 2 შემთხვევა;
- ☐ **გარეგნობის ნიშანი** - 1 შემთხვევა.

N10 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილი იქნა დისკრიმინაციის შემთხვევები.

დიაგრამა №10

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც
მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილ იქნა დისკრიმინაციის შემთხვევები



სექცია	სექციის დასახელება
C	დამამუშავებელი მრეწველობა
D	ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

ზემოხსენებულ 6 ორგანიზაციაში, სადაც **მიმდინარე და დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით დადგენილ იქნა დისკრიმინაციული მოპყრობა**, აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 6 პირთან მიმართებით. მათ შორის, **4 ქალი** და **2 კაცი**.

N11 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №11

სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის ექვსივე შემთხვევაში მეწარმე სუბიექტების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა **ჯარიმა.** კერძოდ, სშკ

77-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით, შესაბამისი ჯარიმის სამმაგი ოდენობა.

გ) დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების საფუძველზე განხორციელებული ინსპექტირებების ფარგლებში, როგორც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა,** ასევე დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა **10** სუბიექტის მიმართ. შესაბამისად, დამსაქმებლებს **დაეკისრათ ანტიდისკრიმინაციული დებულებების როგორც შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტებში გაწერის, ასევე, მისი პრაქტიკაში უზრუნველყოფის/აღსრულების ვალდებულება,** დასაქმებულთა (როგორც ხელმძღვანელ პოზიციებზე, ისე მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების) ცნობიერების ამაღლება და არაჯანსაღი სამუშაო გარემოს პრევენციის მიმართულებით შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

N12 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით **არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა,** ასევე დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები, გამოვლინდა.

დიაგრამა №12

სამუშაო ადგილების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად, სადაც მიმდინარე, ასევე, დასრულებულ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობა, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებების პრაქტიკაში აღსრულების გამოწვევები გამოვლინდა



სექცია	სექციის დასახელება
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
P	განათლება
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრებიდან, რაზეც დადგენილ იქნა არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობის ფაქტი, აღნიშნული გამოვლინდა **10 პირთან** მიმართებით. მათ შორის, **8 ქალი** და **2 კაცი**.

N13 დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობის ფაქტების შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №13

სამუშაო ადგილზე არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს არსებობის ფაქტების შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

არაჯანსაღი ან/და მტრული სამუშაო გარემოს დადგენის შედეგად, სამსახურის მიერ კონრეტული სუბიექტების მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის სახედ **4 შემთხვევაში** გამოყენებულ იქნა **ჯარიმა**, ხოლო **6 შემთხვევაში გაფრთხილება**.

გარდა ამისა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში 2023 წლის საანგარიშო პერიოდში დასაქმების ადგილზე სავარაუდო **სექსუალური შევიწროების** შემთხვევებს შეეხებოდა **3 საჩივარი**, რომელთაგან, ყველა მათგანის ავტორი იყო ქალი.

3.2.2 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები

„იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №112 დადგენილების შესაბამისად, 2023 წელს შემოწმდა **303 ობიექტი,** რომელთაგანაც **292 იყო გეგმური, ხოლო 11 არაგეგმური.** აღსანიშნავია, რომ 11 არაგეგმური შემოწმებული სამუშაო ადგილიდან **5 განხორციელდა საჩივრის საფუძველზე,** ხოლო დანარჩენი **6 - საკუთარი ინიციატივით.**

საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების შესაბამისად განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად შემოწმებული სამუშაო ადგილები სექტორულ და რეგიონულ ჭრილში წარმოდგენილია №14 დიაგრამაზე.

დიაგრამა №14

იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმებული სამუშაო ადგილები რეგიონულ და სექტორულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად



	თბილისი	იმერეთი	აჭარა	კახეთი	გურია	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთი	მცხეთა-მთიანეთი
A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა		1	4	9	2	11	6	9	1		
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება		15	11	14	16	10	2	9	12		1
C დამამუშავებელი მრეწველობა	7	25		14	4	14	11	21	11	2	3
E ნარჩენების მართვა გასუფთავება				1		1					
F მშენებლობა		1						1	1		1
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა		1	12					2	1		1
H ტრანსპორტი და დასაწყოება				1		1					2
I განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები			1	1	1	19	5				
L უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა		1									
N დამხმარე მომსახურების საქმიანობა						1					
R ხელოვნება,გართობა და დასვენება				1							
S სხვა სახის მომსახურება				1							

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

აქვე აღსანიშნავია, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური თავისი მანდატის ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობს და რეფერირების მექანიზმს იყენებს ისეთ უწყებებთან, როგორებიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვის სააგენტო და სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო. ასევე, კომუნიკაცია მიმდინარეობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრ სხვა უწყებებთან. სწორედ ამ მიზნით, 2023 წლის 27 დეკემბერს შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორი ესწრებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომას, სადაც განიხილებოდა უწყებათაშორისი თანამშრომლობა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დანაშაულთან ბრძოლის საკითხებში, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს იძულებითი შრომა.

განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად სამსახურის მიერ რეფერირების მექანიზმი გამოყენებულ იქნა შრომითი ტრეფიკინგის 4 სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, რომელთაგან დადასტურებულ იქნა 1 შემთხვევა.

3.2.3 ბავშვთა შრომა

საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების აღსრულებაზე ზედამხედველობის შედეგად 2023 წლის საანგარიშო პერიოდში დარღვევა გამოვლინდა 11 სამუშაო ადგილზე 23 არასრულწლოვანთან მიმართებით, მათ შორის:

- ☐ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული ნორმების დარღვევა **10 (ათი) სამუშაო ადგილზე,** 22 არასრულწლოვანთან მიმართებით;
- ☐ საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევა **1 სამუშაო ადგილზე,** 1 არასრულწლოვანთან მიმართებით;

გამოვლენილი დარღვევების შედეგად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად გაიცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - დაჯარიმების შესახებ და ჯამში, არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის საფუძვლით, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 64 400 (სამოცდაოთხიათას ოთხასი) ლარი.

როგორც აღინიშნა, შრომის უსაფრთხოების ნორმებზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოვლინდა საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევის **ერთი** ფაქტი, რომელიც მოიცავს დამსაქმებლის ვალდებულებას არ დაასაქმოს 18 წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ პოზიციაზე, რომელმაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ,,18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბერის №01-126/ნ ბრძანებით განსაზღვრულია იმ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა შესრულება აკრძალულია 18 წლამდე ასაკის პირისთვის. კანონის მიხედვით, არასრულწლოვნის მიერ შესასრულებელი ყველა სახის სამუშაო უნდა შეფასდეს კანონით დადგენილი წესით. ასევე, უნდა

განხორციელდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამუშაო გარემოსა და სამუშაო პროცესის რეგულარული მონიტორინგი.

ზემოხსენებულის საფუძველზე, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა განმეორებითი ინსპექტირების ფარგლებში ქ. თბილისში ოპერირებად სამშენებლო ობიექტზე დააფიქსირა არასრულწლოვანის (16-დან 18 წლამდე) მუშაობის ფაქტი და კრიტიკული შეუსაბამობების შესაბამისად ადმინისტრაციული სახდელის სახედ გამოიყენა **სამუშაო პროცესის შეჩერება.** ამასთან, ვინაიდან კომპანიას 2 კალენდარული წლის განმავლობაში დაუფიქსირდა კრიტიკული შეუსაბამობის ფაქტი დაჯარიმდა 50000 ლარით.

№15 დიაგრამაზე წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და რეგიონები მიხედვით იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა (ჯამში 11 ობიექტი), სადაც გამოვლინდა საქართველოს ორგანულ კანონზე „საქართველოს შრომის კოდექს“-ზე და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე ზედამხედველობის შედეგად არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები.

დიაგრამა №15

18 წლამდე არასრულწლოვანთან მიმართებით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების მქონე ობიექტების რაოდენობა რეგიონულ და სექტორულ ჭრილში, საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ-2016 შესაბამისად



	თბილისი	იმერეთი	აჭარა	კახეთი
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება		1		
C დამამუშავებელი მრეწველობა	1			
F მშენებლობა	1			
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა	1			
H ტრანსპორტი და დასაწყოება	1			
I განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2		3	1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

შენიშვნა: სამშენებლო სექტორში წარმოდგენილ 1 ორგანიზაციაში დაფიქსირდა საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტის დარღვევა.

რაც შეეხება, არასრულწლოვანთა მიმართ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული შრომით უფლებებზე ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ დარღვევებს (ჯამში 39), აღნიშნული ასახულია N4 ცხრილში:

ცხრილი №4

საქართველოს ორგანულ კანონზე „საქართველოს შრომის კოდექსი”-ზე ზედამხედველობისას 18 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ გამოვლენილი დარღვევები

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 12	ჯამში	2
12.2		1
12.3		1
მუხლი 14	ჯამში	14
14.1.გ		5
14.1.დ		1
14.1.ზ		6
14.1.თ		2
მუხლი 16	ჯამში	3
16.5		3
მუხლი 18	ჯამში	1
18.4		1

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
მუხლი 20	ჯამში	2
20.2		1
20.8		1
მუხლი 22	ჯამში	1
22.3		1
მუხლი 23	ჯამში	1
23.4		1
მუხლი 24	ჯამში	7
24.2		2
24.8		3
24.11		2
მუხლი 27	ჯამში	3

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა		
27.1		2
27.2		1
მუხლი 30	ჯამში	1
30.4		1
მუხლი 31	ჯამში	1
31		1
მუხლი 41	ჯამში	1
41.1		1
მუხლი 46	ჯამში	1
46		1
მუხლი 59	ჯამში	1
59.2		1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

გამოვლენილი დარღვევების შესახებ წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ განსაზღვრული დებულებებიდან ყველაზე ხშირად გამოვლენილ იქნა მე-14 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან, კონკრეტულად კი არსებით პირობებთან დაკავშირებული დარღვევები (აღრიხული დარღვევების 36%).

რაც შეეხება, საანგარიშო პერიოდში 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დარღვევების შედეგად დაზარალებული პირების შესახებ ინფორმაციას სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, აღნიშნული, ასახულია №16 დიაგრამაზე:

დიაგრამა №16

საქართველოს ორგანული კანონზე „საქართველოს შრომის კოდექს“-ზე და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონზე განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი 18 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დარღვევის შედეგად დაზარალებული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად **ყველაზე ხშირად** 18 წლამდე არასრულწლოვნის **შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტს** ადგილი ჰქონდა **განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების I სექციაში**.

სამსახური ინტენსიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას 18 წლამდე არასრულწლოვან დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის ეფექტურად აღსრულებისთვის.

3.2.4 სამედიცინო სექტორში განხორციელებული ინსპექტირებები

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხის შემოწმების ნაწილში განხორციელდა 520 სამედიცინო დაწესებულების ინსპექტირება. აღნიშნულიდან, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე განხორციელდა 500, ხოლო დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე - 20 ინსპექტირება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გაცემულ იქნა 68 კლინიკის მიმართ.

თავი 4. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები

,,შრომის უსაფრთხოების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონი სამუშაო სივრცეში მომხდარ უბედურ შემთხვევას განმარტავს, როგორც სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარ შემთხვევას, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება.

თავის მხრივ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-11/ნ ბრძანების შესაბამისად.

თავის მხრივ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების მოკვლევას, აღრიცხავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ორგანიზაციაში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევასა და აღრიცხვას აწარმოებს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური. საანგარიშო პერიოდში კი სამსახურის მიერ მოკვლეულ იქნა ყველა ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევა. ასევე, განხორციელდა არაფატალური უბედური შემთხვევების მოკვლევებიც.

ზემოხსნებულის შემდეგად სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა განახორციელა სამუშაო სივრცეში მომხდარ, ყველა აღრიცხულ, **381 შემთხვევაზე მოკვლევა/ინსპექტირება, მათ შორის, 34 ფატალურ, 95 მძიმე და 252 საშუალო სიმძიმის შემთხვევებზე.**

2023 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 34 და დაშავდა 347 (95 მძიმე და 252 საშუალო) დასაქმებული. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი 34 პირიდან ყველა კაცია, ხოლო დაშავებულთაგან 100 ქალი და 247 კაცი. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა, მათ შორის, სქესისა და საქართველოში დასაქმებულ შრომით იმიგრანტთა მიხედვით, წარმოდგენილია №5 ცხრილში.

შენიშვნა:

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცხრილი №5

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და საქართველოში დასაქმებულ შრომით იმიგრანტთა მიხედვით

სქესი	სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა	დაშავებულთა რაოდენობა	გარდაცვლილთა რაოდნეობა
ჯამში	ჯამში	**347**	**34**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**9**	**3**
კაცი	ჯამში	**247**	**34**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**9**	**3**
ქალი	ჯამში	**100**	**0**
	მათ შორის, საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტი	**0**	**0**

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

შენიშვნა:

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) (2016) -ის შესაბამისად წარმოდგენილია №17 დიაგრამაზე:

დიაგრამა №17

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ-2016-ის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

შენიშვნა:

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

სამუშაო ადგილებზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად:

- სოფლის მეურნეობის საქმიანობის **A სექციაში** დაშავებულია 2 დასაქმებული;
- სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერის დამუშავების **B სექციაში** გარდაცვლილია 2 და დაშავებულია 28 დასაქმებული;
- დამამუშავებელი მრეწველობის **C სექციაში** გარდაცვლილია 8 და დაშავებულია 73 დასაქმებული;
- ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდების საქმიანობების **D სექციაში** დაშავებულია 4 დასაქმებული;
- წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის საქმიანობის **E სექციაში** დაშავებულია 23 დასაქმებული;
- მშენებლობის **F სექციაში** გარდაცვლილია 21 და დაშავებულია 47 დასაქმებული;
- საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის **G სექციაში** გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 74 დასაქმებული;
- ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობის **H სექციაში** დაშავებულია 20 დასაქმებული;
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მიწოდების საქმიანობების **I სექციაში** გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 57 დასაქმებული;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის **J სექციაში** გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 2 დასაქმებული;
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების **K სექციაში** დაშავებულია 4 დასაქმებული;
- განათლების **P სექციაში** დაშავებულია 2 დასაქმებული;
- ჯანდაცვის საქმიანობების **Q სექციაში** დაშავებულია 4 დასაქმებული;
- ხელოვნების, გართობისა და დასვენების **R სექციაში** დაშავებულია 7 დასაქმებული.

12 საქართველოში დასაქმებულ შრომითი იმიგრანტთან (მამრობითი) მიმართებით აღრიცხული სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები შემდეგნაირად ნაწილდება:

- დამამუშავებელი მრეწველობის **C სექციაში** დაშავებულია 1 დასაქმებული (საშუალო);
- მშენებლობის **F სექციაში** გარდაცვლილია 3 და დაშავებულია 7 დასაქმებული (მათ შორის, 5 ძიმე და 2 საშუალო);
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და კვების მიწოდების საქმიანობების **I სექციაში** დაშავებულია 1 დასაქმებული (საშუალო).

რეგიონების მიხედვით სამუშაო ადგილზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა განაწილებულია №18 დიაგრამაზე.

დიაგრამა №18

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილ და დაშავებულ დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



	აჭარა	გურია	თბილისი	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
დაშავებული	30	0	192	50	9	12	0	2	9	32	11
გარდაცვლილი	7	1	8	6	1	1	0	2	0	6	2

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

ფატალურ შემთხვევათაგან რეგიონულ და სექტორულ დონეზე შემთხვევები წარმოდგენილია №19 დიაგრამაზე:

დიაგრამა №19

ფატალური შემთხვევები რეგიონულ და სექტორულ დონეზე



	თბილისი	იმერეთი	აჭარა	კახეთი	გურია	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება		1				1			
C დამამუშავებელი მრეწველობა	2		3			3			
F მშენებლობა	5	5	4		1	1	2	1	2
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა	1								
I განთავსების საშუალებები და კვების მიწოდების საქმიანობები						1			
J ინფორმაცია და კომუნიკაცია				1					

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

მოგეხსენებათ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგებისა და ერთ ჯერზე დაშავებული ან გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

- ☐ ***მსუბუქი უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;
- ☐ ***საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;
- ☐ ***მძიმე უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;
- ☐ ***ფატალური უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;
- ☐ ***მასობრივი უბედური შემთხვევა*** – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის (სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება) მე-2 პუნქტის ,,გ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დამსაქმებელი ვალდებულია, შეატყობინოს ზედამხედველ ორგანოს **საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების** შესახებ. შესაბამისად, ზედამხედველი ორგანოს მიერ ხდება იმ საწარმოო უბედური შემთხვევების აღრიცხვა, რომლებიც კლასიფიცირდება საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივ შემთხვევებთან.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებიდან:

- ➔ **95 შემთხვევა** კლასიფიცირდა, როგორც **მძიმე** უბედური შემთხვევა **(ქალი 14; კაცი 81)**;
- ➔ **252 შემთხვევა** კი, როგორც **საშუალო სიმძიმის** უბედური შემთხვევა **(ქალი 86; კაცი 166);**

2023 არ დაფიქსირებულა არცერთი მასობრივი უბედური შემთხვევა.

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები კლასიფიცირების, სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev.2) სეკ 2016 -ის შესაბამისად ნაჩვენებია №6 ცხრილში

ცხრილი №6

კლასიფიცირებული საწარმოო უბედური შემთხვევები სქესობრივ ჭრილში ეკონომიკური საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) 2016-ის შესაბამისად				
ეკონომიკურ საქმიანობის სახეების სეკ (NACE Rev.2) (2016)	ქალი		კაცი	
	მძიმე	საშუალო	მძიმე	საშუალო
ჯამში	14	86	81	166
	100		247	
A სოფლის მეურნეობა	0	0	0	2
B სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერის დამუშავება	0	0	3	25
C დამამუშავებელი მრეწველობა	3	9	24	37
D ელექტროენერგიის, აირის და ორთქლის მიწოდება	0	0	1	3
E წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა	0	1	3	19
F მშენებლობა	0	0	31	16
G საბითუმო და საცალო ვაჭრობა	3	38	7	26
H ტრანსპორტი და დასაწყობება	0	0	8	12
I განთავსების საშუალებები და კვების მიწოდების საქმიანობები	7	29	1	20
J ინფორმაცია და კომუნიკაცია	0	1	1	0
K კომერციული ბანკების საქმიანობები	0	1	0	3
P განათლება	0	0	1	1
Q ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1	2	0	1
R ხელოვნება, გართობა და დასვენება	0	5	1	1

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების მოკვლევის შედეგად დაშავებულ პირთათვის მიყენებული სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა ფარდობითი სიხშირეები თვალსაჩინოდ ნაჩვენებია №20 და №21 დიაგრამაზე.

დიაგრამა №20

დაზიანებათა ტიპების ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დიაგრამა №21

სხეულის დაზიანების ლოკაციის ფარდობითი სიხშირეები



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

,,სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-11/ნ ბრძანების დანართი 1.2-ის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში გამოგზავნილი მოკვლევის ოქმებისა და სამსახურის მიერ განხორციელებული მოკვლევების საფუძველზე საწარმოო ინციდენტები ასაკობრივ ჭრილში ნაჩვენებია №22 დიაგრამაზე.

დიაგრამა №22

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

ასაკის მიხედვით, დაშავებულთა მაქსიმალური რაოდენობა, როგორც დიაგრამიდან ჩანს განაწილდა 20-40 წლამდე ასაკობრივ დიაპაზონში.

ქვეყანაში შრომით ნორმებზე სახელმწიფო კონტროლის ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად, 2020 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობის №80 დადგენილებით ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესი, რომლის მიზანია რისკის დონის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის საფრთხის შეფასება, კონტროლის ინტენსივობის დადგენა, იმ მეთოდებისა და წესების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს სხვადასხვა დარგზე მონიტორინგი, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მიზნით.

მეთოდოლოგია, საერთაშორისო გამოცდილებასა და ქვეყანაში მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას ინდიკატორების საფუძველზე, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ინციდენტობის კუთხით აჯგუფებს და ჰყოფს **განსაკუთრებით მაღალ, ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალ რისკის** სექტორებად. აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მიზნით, საქმიანობების დაჯგუფებები რომელიც ცვალებადია 5 წლის მანძილზე შეგროვებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, დაფუძნებულია ეროვნულ კლასიფიკატორზე სეკ (NACE Rev.2) (2016) [5] (აღნიშნული შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს – NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community). პრიორიტეტული დარგების გადანაწილება 5

[5] საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი *სეკ-2016): https://www.geostat.ge/media/13408/NACE-Rev-2_Georgian_2016.pdf

ძირითად კატეგორიაში ხორციელდება. ესენია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის, ძალიან მაღალი რისკის, მაღალი რისკის, საშუალო რისკისა და დაბალი რისკის ჯგუფები.**

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულთა და გარდაცვლილთა პროცენტული გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით მოცემულია № 23 და №24 დიაგრამებზე:

დიაგრამა №23

სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა პრიორიტეტული დარგების მიხედვით შემდეგნაირია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფში-23 შემთხვევა, ძალიან მაღალი რისკის ჯგუფში-3 შემთხვევა, მაღალი რისკის ჯგუფში--5 შემთხვევა, საშუალო რისკის ჯგუფში--3 შემთხვევა. დაბალი რისკის სექტორებში გარდაცვალება არ ფიქსირდება.**

დიაგრამა №24

სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა გადანაწილება პრიორიტეტული დარგების კატეგორიზაციის მიხედვით



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა პრიორიტეტული დარგების მიხედვით შემდეგნაირია: **განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფში-51 შემთხვევა, ძალიან მაღალი რისკის ჯგუფში-52 შემთხვევა, მაღალი რისკის ჯგუფში--103 შემთხვევა, საშუალო რისკის ჯგუფში--132 შემთხვევა, დაბალი რისკის ჯგუფში--9 შემთხვევა.**

უნდა აღინიშნოს, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 2019 წლის 1 სექტემბრამდე ვრცელდებოდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, ხოლო 2019 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნულმა მოიცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგი, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონითა „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობები. იმის გამო, რომ ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში დამსაქმებელს, მათ შორის, მათ, ვისაც არ გააჩნდა ვალდებულება 2019 წლის სექტემბრამდე, შეეტყობინებინა ინფორმაცია სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ, 2019 წლის სექტემბრიდან გაუჩნდა ეს ვალდებულება, შესაბამისად, ინფორმაცია იმ უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც დაუკავშირდა სამუშაო პროცესს (საშუალო, მძიმე, ფატალური და მასობრივი) შრომის ინსპექციის მიერ იქნა შეგროვებული და დამუშავებული.

გარდა ამისა, 2021-2023 წლებში საგრძნობლად გაიზარდა შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებაზე ინსპექტირებების რაოდენობა და დამსაქმებელთათვის ინფორმაციის გაზიარება ზემოხსენებული ვალდებულების თაობაზე.

ამით აიხსნება წლების მატებასთან ერთად არაფატალური უბედური შემთხვევების რაოდენობრივი ზრდა. ეს უკანასკნელი კი დროთა განმავლობაში საშუალებას მოგვცემს მაქსიმალური სიზუსტით შევძლოთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება.

აქვე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საერთაშორისო დონეზე ქვეყნის შეფასების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია 100 000 დასაქმებულზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით გარდაცვალებისა და დაშავების სიხშირის შესახებ ინფორმაციის დამუშაგება, რომლის შესახებ ინფორმაცია ზოგადად და ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ხელმისაწვდომი იქნება შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდზე. [6]

2018-2023 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდნეობა წარმოდგენილია №25 დიაგრამაზე.

[6] იხილეთ გარდაცვალებისა და დაშავების სიხშირეები ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=20221227182608643964083 5

დიაგრამა №25

2018-2023 წლებში სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობა



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

დიაგრამიდან ნათლად ჩანს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილ დასაქმებულთა რაოდენობრივი კლების დინამიკა, რაც 2018 წლიდან, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან დღემდე შენარჩუნებულია, რაც სახელმწიფოს მიზნობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტებით დაგეგმილი აქტივობების ეფექტურობაზე მეტყველებს.

2023 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2022 წელთან შედარებით შემცირებულია 3%-ით, 2021 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 8%-ით, 2020 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 13%-ით, 2019 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 24%-ით, ხოლო, 2018 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 42%-ით.

შენიშვნა:

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ სტატისტიკური მონაცემები სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით.

თავი 5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამაზე ზედამხედველობა

5.1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ეფექტური ორგანიზებისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ (შემდგომში №01-25/ნ ბრძანება) ბრძანებით დამტკიცდა ,,შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები". პროგრამის მსმენელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი. ამასთან, №01-25/ნ ბრძანებაში 2023 წლის 13 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სამხედრო განათლების მქონე პირებს გაუჩნდა შესაძლებლობა, ჩაირიცხონ მსმენელებად აკრედიტებულ პროგრამაზე.

აკრედიტებული პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელსაც თავისი კვალიფიკაცია, სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების გზით, დადასტურებული აქვს აკრედიტებული საგამოცდო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატით, ეკისრება პასუხისმგებლობა, ორგანიზაციაში შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

ამ მიმართულებით, შრომის ბაზარზე კვალიფიციური სპეციალისტის მიღების პირველი ეტაპია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების უფლების მქონე ორგანიზაციაში სასწავლო კურსის გავლა. ამ მიზნით, მიმდინარე წელს აკრედიტებული პროგრამის სწავლების უფლება მოპოვებული აქვს 3 სასწავლო ორგანიზაციას, ერთმა შეიცვალა ფაქტობრივი მისამართი, რაც ახალი აკრედიტაციის საფუძველი გახდა, ხოლო 1 ორგანიზაციის განაცხადი განხილვის პროცესშია.

2023 წლის პირველ კვარტალში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის სწავლების უფლება მოიპოვა შემდეგმა ორგანიზაციებმა:

- ☐ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), სრული აკრედიტებული პროგრამა;
- ☐ სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (ზუგდიდი), სრული აკრედიტებული პროგრამა/სრული აკრედიტებული პროგრამა/პროგრამა დაბალი და საშუალო რისკის ობიექტების მიმართულებით
- ☐ ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი (თბილისი და რუსთავი) სრული აკრედიტებული პროგრამა.

ამგვარად, 2023 წლის მდგომარეობით, თბილისსა და რეგიონებში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი 23 ორგანიზიაა[7], რომელთა რაოდენობა გეოგრაფიული ადგილის მიხედვით ასახულია №26 დიაგრამაზე:

[7] სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://lio.moh.gov.ge/education.php?lang=1&uid=20230108191058711523138 6

დიაგრამა №26

2023 წელს სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების რაოდენობა თბილისსა და სხვა ქალაქებში



თბილისი 21	ბათუმი 4	ქუთაისი 2	ზუგდიდი 1	რუსთავი 1

წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში სწავლება განახორციელა/ახორციელებს 15 ორგანიზაცის მხრიდან რეგისტრირებული 55 ჯგუფი **1303** მსმენელით, რომელთაგან **1117** მსმენელმა დაასრულა სასწავლო პროცესი, ხოლო **186 მსმენელი** აგრძელებს სასწავლო პროცესს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მსმელთა რაოდენობა თბილისსა და სხვა ქალაქში 2023 წლის მონაცემებით ასახულია №27 დიაგრამაზე.

დიაგრამა №27

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე მსმენელთა რაოდენობა



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

5.2 სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები

შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მიღების მეორე ეტაპია აკრედიტებულ საგამოცდო ცენტრში სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება.

საანგარიშო პერიოდში მოხდა იმ პირთა განაცხადების მიღება/დამუშავება, რომლებიც არიან შრომის უსაფრთხოების მოქმედი სპეციალისტები, მაგრამ მათ სერტიფიკატს გაუვიდა მოქმედების სამწლიანი ვადა, ასევე, პირებისა, რომელთაც გააჩნიათ შრომის უსაფრთხოების სფეროში მუშაობის სამწლიანი გამოცდილება და იმ პირებისა, რომლებიც არიან საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელები და ევალებათ ეროვნული კანონმდებლობის ჩაბარება სპეციალური აკრედიტებული პროგრამის შესაბამისად. ასევე, განხილულ და დამუშავებულ იქნა 15 სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მსმენელთა დოკუმენტაცია, სასერტიფიკატო გამოცდაზე დაშვების მიზნით.

ამგვარად, №7 ცხრილზე ასახულია 2023 წლისთვის განხორციელებული სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები.

ცხრილი №7

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები

სასერტიფიკატო გამოცდაზე გავიდა 1258 პირი	
858 პირი არის 2022- 2023 წლის პერიოდის კურსდამთავრებული	**400** პირი არის 2018-2019 წლის კურსდამთავრებული, სამწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე და საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი
სასერტიფიკატო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 1084 პირმა	
758 პირი არის 2022- 2023 წლის პერიოდის კურსდამთავრებული	**326** პირი არის 2018-2019 წლის კურსდამთავრებული, სამწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე და საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი
გამოცდაზე გასული 1258 პირიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა 174 პირმა	
100 - 2022-2023 წლის პერიოდის კურსდამთავრებულია	**74** - 2018-2019 წლის კურსდამთავრებული, სამწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე და საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია

წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

უნდა აღინიშნოს, რომ სასერტიფიკატო გამოცდაზე გასულ პირთა 13,8 %-მა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

დიაგრამა №28 თვალსაჩინოდაა ასახული 2023 წელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის შედეგად სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ პირთა (2018-2019 წლის კურსდამთავრებულთა და 2022-2023 წლის კურსდამთავრებულთა) თანაფარდობა:

დიაგრამა №28

2023 წელს სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლის შედეგად სერტიფიცირებულ/არასერტიფიცირებულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

<u>შენიშვნა:</u> სასერტიფიკატო გამოცდების შესახებ ინფორმაცია ასახავს 2023 წლის 28 დეკემბრის სტატისტიკური მონაცემებით არსებულ შედეგებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ N01-25/ნ ბრძანების პირველი, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად, გარდა ამ წესით დადგენილისა, პირს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია, ასევე, შესაძლებელია, მიენიჭოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების** მიერ, პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული ისეთი სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც (გარდა ფორმალური განათლების ფარგლებში შემუშავებული პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი (1 წელზე მცირე) პროგრამებისა), რომლებიც პირდაპირ კავშირშია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან. ამ საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განისაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, №96/ნ ბრძანებით.

2023 წლის მდგომარეობით, **479** პირი არის პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე, რომელთა კვალიფიკაცია პირდაპირ კავშირშია შრომის უსაფრთხოების დაცვასთან და უფლებამოსილია შეასრულოს, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების გარეშე. ამასთან, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია აქვს - **347** პირს, ხოლო, უმაღლესი განათლება - **132**[8].

[8] წყარო: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ცენტრის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა ერთიან ბაზაში ქვეყნის მასშტაბით ასახულია ინფორმაცია **2638** სერტიფიცირებული სპეციალისტის შესახებ. მათგან, 1321 პირი არის 2022-2023 წლის კურსდამთავრებული, ხოლო 1317 პირი 2018-2019 წლის კურსდამთავრებული.

გარდა ამისა, როგორც აღინიშნა, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აღრიცხულია 479 პირი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციები.

დიაგრამა №29 ასახულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა პროცენტული მაჩვენებელი.

დიაგრამა №29

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით - 3117



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

5.3 საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები

სწავლების განმახორციელებელი პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესის უზრუნველსაყოფად, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრმა საანგარიშო პერიოდში უზრუნველყო სწავლების განმახორციელებელი პირების განცხადებების მიღება და, შესწავლა, შეუსაბამობის შემთხვევაში ხარვეზის დადგენა, დადებითი პასუხის შემთხვევაში კი საგამოცდო ცენტრისა და განმცხადებლის ინფორმირება, გამოსაცდელი პირების გამოცდებზე რეგისტრაცია და სწავლების განმახორციელებელი პირების აღრიცხვა ერთიან ბაზაში.

ამგვარად, მიმდინარე წელს საკვალიფიკაციო გამოცდა სხვადასხვა მოდულში წარმატებით ჩააბარა 7-მა პირმა, რის შედეგადაც სულ სასწავლო ორგანიზაციებს მიმდინარე ეტაპზე ჰყავს 134 სწავლების განმახორციელებელი სუბიექტი, რომელთა შორის 75-ს მიენიჭა (გარდა ძირითადი მოდულებისა) უფლება განახორციელოს ტრენინგი შემდეგ მოდულებში: „ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდები და მიმართულებები“;

- ☐ „სპეციალური და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა“;
- ☐ „პირველადი სამედიცინო დახმარება“ მოდულების სწავლების უფლება.

სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა სასწავლო მოდულების მიხედვით ასახულია №30 დიაგრამაზე.

დიაგრამა №30

2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა მოდულების მიხედვით



	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამით განსაზღვრული მოდულების შესაბამისად სწავლების განმახორციელებელ პირთა რაოდენობა
1	შესავალი შრომის უსაფრთხოების მართვის საკითხებში
2	საქართველოს შრომის კოდექსი
3	შრომის უსაფრთხოებისშესახებ საქართველოს ორგანული კანონი
4	ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები შრომის სამართლის მიმართულებით
5	საერთაშორისო სტანდარტები შრომის უსაფრთხოების სფეროში
6	საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკის შეფასება და მართვა
7	საწარმოო უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევა
8	პროფესიული დაავადებები
9	ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება
10	ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაცია და უსაფრთხოების წესები
11	საწარმოო სათავსების მიკროკლიმატი
12	ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები
13	შრომის ჰიგიენა
14	უსაფრთხოების ნიშნები
15	გადაუდებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება
16	გარემოსდაცვითი საკითხები შრომის უსაფრთხოების სფეროში
17	ტვირთის გადატანა
18	სიმაღლეზე მუშაობა
19	აალებად და ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობის სტანდარტები
20	შრომის უსაფრთხოება მანქანა-დანადგარებთან და მოწყობილობებთან
21	შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში
22	შრომის უსაფრთხოება სამთომოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობაში
23	შრომის უსაფრთხოება მსუბუქ მრეწველობაში
24	შრომის უსაფრთხოებამომსახურების /სერვის სექტორში
25	შრომის უსაფრთხოება სამედიცინო სფეროში
26	ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების მეთოდები და მიმართულებები
27	სპეციალური და განსაკუთრებული საჭიროების მქონე დასაქმებულთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა
28	პირველადი სამედიცინო დახმარება

წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

5.4 აკრედიტებული სასწავლო ორგანიზაციების მონიტორინგი

N01-25/ნ ბრძანების შესაბამისად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია გეგმურად ან სათანადო განცხადების საფუძველზე, შეამოწმოს აკრედიტირებული ორგანიზაცია, რათა, დაადგინოს აკრედიტებული პროგრამის განხორციელების ეტაპზე არის თუ არა დაცული, პროგრამის აკრედიტაციისათვის განსაზღვრული მოთხოვნები.

შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელებისას, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია შეამოწმოს სასწავლო სივრცე და ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. ასევე, ამ მიზნით გამოითხოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისას სწავლების განმახორციელებელ ორგანიზაციაში/საგამოცდო ცენტრში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილ იქნა ამ წესის მოთხოვნების დარღვევა, სწავლების განმახორციელებელ ორგანიზაციას/საგამოცდო ცენტრს მიეცემა რეკომენდაცია გამოვლენილი დარღვევის გამოსწორების თაობაზე.

განმეორებითი მონიტორინგისას, თუ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ, კვლავ დაფიქსირდა ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა, მას უფლება აქვს დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს აკრედიტაციის კომისიას, სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის/საგამოცდო ცენტრისათვის სტატუსისა და პროგრამის აკრედიტაციის შეჩერების თაობაზე.

ამგვარად, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელებისა და საგამოცდო ცენტრის საქმიანობის პროცედურებზე ზედამხედველობისთვის დაგეგმილი მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა სწავლების განმახორციელებელი 15 ორგანიზაცია და 3 საგამოცდო ცენტრი.

შემოწმების მიზნით, ასამდე შემოწმება განხორციელდა როგორც სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციის სასწავლო პროცესის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე, ასევე, 3 საგამოცდო ცენტრის საქმიანობაზე, რაც გულისხმობს, როგორც პირველად მონიტორინგს, ასევე N01-25/ნ ბრძანების მოთხოვნების დარღვევის გამო გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემდგომ მონიტორინგს.

ამ პროცესში, უშუალოდ მონიტორინგის განხორციელებისა და სასწავლო ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების დამუშავებისა და შეფასების შედეგად, სწავლების განმახორციელებელ 13 ორგანიზაციას დაუდგინდა N01-25/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შეუსაბამობა. კონკრეტული შეუსაბამობების, გამოსწორების გზებისა და პროცედურების შესახებ ეცნობა თითოეულ ორგანიზაციას, ოფიციალური წერილით.

შეუსაბამობათა ფარდობითი სიხშირეები ასახულია №31 დიაგრამაზე.

დიაგრამა №31

სასწავლო თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ შეუსაბამობათა ფარდობითი სიხშირეები 2023 წ.



წყარო: სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

№4 დიაგრამის მიხედვით, გამოვლენილი შეუსაბამობების სახეები ამგვარია:

- 40% - არ დასტურდება პრაქტიკული კომპონენტის გავლა ამა თუ იმ მოდულისთვის დადგენილი საათების შესაბამისად;
- 30% - პრაქტიკული კომპონენტის გავლა არ დასტურდება პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის მხრიდან შესაბამისი წესით;
- 9% - პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილ დროზე ადრე სასწავლო პროცესის დასრულება;
- 9% - სასწავლო მოდულის გაცდენის შესახებ შეტყობინება არ იქნა წარმოდეგენილი დადგენილი წესის შესაბამისად;
- 6% - მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მსმენელთა დასწრების შესახებ ინფორმაცია არ ემთხვევა პრაქტიკის დღიურში ასახულ მონაცემებს;

- 3% - ზედამხედველ ორგანოსთან წინაწარი შეთანხმების გარეშე დადასტურებული სასწავლო ცხრილით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ თარიღებში თვითნებურად სასწავლო პროცესის განხორციელება;
- 3% - მსმენელის მიერ სასწავლო პროცესის შეწყვეტის /ჯგუფში მსმენელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, დადგენილი წესით გათვალისწინებული პროცედურების უგულებელყოფა.

რაც შეეხება, საგამოცდო ცენტრების მონიტორინგს, შემოწმდა ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში არსებული ცენტრები.განხორციელებული შემოწმების პროცესში დარღვევები არ გამოვლენილა.

5.5 შეხვედრა სწავლების განმახორციელებელ ორგანიზაციებთან

მიმდინარე წლის 28 ივნისსა და 28 დეკემბერს სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის ორგანიზებით, დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, გაიმართა შეხვედრა სწავლების განმახორციელებელ აკრედიტებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

დისკუსია გაიმართა, როგორც პროგრამის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, ასევე, განხილულ იქნა სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების შენიშვნები და წინადადებები. აქტიური დისკუსიის რეჟიმში, სამსახურის თანამშრომელთა მიერ პასუხი გაეცა აკრედიტებული სწავლების განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ დასმულ შეკითხვებს უშუალო სასწავლო პროცესთან და სასწავლო პროცესზე მონიტორინგთან დაკავშირებით.

5.6 საგამოცდო ტესტური დავალებები ელექტრონული პროგრამისთვის

მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება ტესტური დავალებების შემუშავება/განახლება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების შესაბამისად. ამ მიზნით, აკრედიტაციის ცენტრმა უზრუნველყო ტესტური დავალებების განახლება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული 5 (ხუთი) დადგენილების საფუძველზე, რომლებიც წინასწარ დაანონსებულ პერიოდში აისახა ტესტური დავალებების ელექტრონულ პროგრამაში.

ამგვარად, ტესტური დავალებების ცვლილება ეხება შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

- ✓ „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №99, 2020 წლის 10 თებერვალი, ქ. თბილისი;
- ✓ „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №341, 2022 წლის 1 ივლისი, ქ. თბილისი;
- ✓ „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №457, 2022 წლის 16 სექტემბერი, ქ. თბილისი;
- ✓ „სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №590, 2022 წლის 23 დეკემბერი, ქ. თბილისი;
- ✓ „ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის №167 დადგენილება.

5.7 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო

2023 წელს მომზადდა სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გზამკვლევი და სახელმძღვანელო რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ორგანიზაციებისთვის, დოკუმენტი ხელმისაწვდომია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.[9]



გზამკვლევი მომზადდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებულ პროგრამაზე ზედამხედველობის ცენტრის მიერ და განკუთვნილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესითა და პირობებით" გათვალისწინებული მოთხოვნების ეფექტურად შესრულებისათვის.

[9] სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გზამკვლევი და სახელმძღვანელო რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ორგანიზაციებისთვის იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/publication.php?lang=1&id=1

თავი 6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური შექმნის დღიდან თავისი მანდატის, დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების, დამსაქმებლების მხრიდან შრომითი ნორმების დაცვისათვის, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამის ღონისძიებებს აქტიურად ახორციელებს. ამასთან, სამსახური მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეების, ინსპექტირების პროცესისა და შედეგების, პროექტებისა და სამსახურის განვითარების სამომავლო გეგმების შესახებ საზოგადოებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით რეგულარულად აწვდის ინფორმაციას.

სამსახურმა, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მხარაჭერით და ასევე, საკუთარი რესურსებით დამსაქმებლებში და დასაქმებულებში შრომითი ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების **მიზნით 2023 წელს 35 საინფორმაციო შეხვედრა გამართა, რომელსაც ესწრებოდა 1700-მდე პირი**.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა განახორციელა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანია, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების კვირეული -„შენც გახდი ინსპექტორი“, ინსპექტორის რჩევების ფარგელბში. ასევე, მონაწილეობა მიიღო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიაში.

სამსახური ცნობიერების ამაღლების მიზნით, აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში, მათ შორის, აღსანიშნავია დასაქმების ფორუმზე შრომის ინსპექტორთა ჩართულობა, ხელმძღვანელი პირების მოხსენება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმსა და ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციაში.

გარდა ამისა, სამსახურმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადა **19 ვიდეორგოლი**[10], მათ შორის, აღსანიშნავია „ინსპექტორის რჩევები“, რომლებიც

[10] ვიდეორგოლები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.youtube.com/@labourinspectionofficeofge3301/videos

ეხებოდა შრომის კანონმდებლობაში შესულცვლილებებს. ასევე, სამსახურის მანდატზე ზოგადად საზოგადოებისა და მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების ამაღლებას. საანგარიშო პერიოდში, ასევე, მომზადდა და დაიბეჭდა სხვადასხვა თემატიკის საინფორმაციო ბუკლეტები[11].

სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ, საინფორმაციო შეხვედრები ინსპექტირებების შედეგები, განხორციელებული რეფორმები, შრომასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები და სამსახურის გეგმები პროაქტიული რეჟიმით ქვეყნდება სამსახურის ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge), ასევე, Facebook-ისა და youtube-ის გვერდებზე. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით სხვადასხვა საკითხებზე სოციალურ ქსელში განთავსდა 28 საინფორმაციო ხასიათის ბანერი.

ასევე, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ყველა საქმეზე ჰქონდა შესაბამისი რეაგირება და ვრცელდებოდა როგორც წერილობითი ოფიციალური განცხადებები, ასევე, კეთდებოდა სატელევიზიო კომენტარები უწყების წარმომადგენლების მიერ.

სამსახურის ხელმძღვანელი პირები აქტიურად ურთიერთობენ მედიასთან და საანგარიშო პერიოდში 23-ჯერ მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებსა და რუბრიკებში.

კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამსახურში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი (15-75). სამსახურის ცენტრალური და ტერიტორიული ოფისების, ცხელი ხაზის და სოციალური ქსელის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს კომუნიკაციის შესაძლებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავებში.

[11] საინფორმაციო ბანერები ხელმისაწვდომია ბმულზე:
https://lio.moh.gov.ge/news3.php?lang=1&uid=20221225011803343765249 9&page=1

6.1 განხორციელებული საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრები

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური დამსაქმებლებში და დასაქმებულებში შრომითი ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებთ, ასევე საკუთარი რესურსებით, აქტიურად მუშაობს და ამ მიზნით 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გამართა **35 საინფორმაციო შეხვედრა.**

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებზე, ზოგადად სამსახურის მანდატსა და მიგნებებზე 10 შეხვედრა ჩატარდა. უშუალოდ შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით კი შედგა 25 საინფორმაციო შეხვედრა.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, დამსაქმებლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სოციალური პარტნიორებთან. მათ შორის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან (GEA), რომლის ხელშეწყობითაც სამსახურმა ასოციაციის წევრ კომპანიებთან გამართული შეხვედრის ფარგლებში განიხილეს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების საკითხები საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ინსპექტირების პროცესების ჭრილში. შეხვედრას 100-მდე მონაწილე ესწრებოდა და ის კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

როგორც აღინიშნა, სამსახური უპირატესად მიიჩნევს პროაქტიული ღონისძიებების განხორციელებას განსაკუთრებით მაღალი რისკის სექტორებში დასაქმებული ადამიანების დაშავებისა და გარდაცვალების ფაქტების შემცირების მიზნით, რომლის ფარგლებში სამსახურმა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ჩართულობით თბილისსა და ბათუმში 3 საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს სფეროში მიმდინარე სიახლეები, მათ შორის, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ნუსხის ცვლილება, რომელიც ამ სექტორის წარმომადგენლებზეც ვრცელდება, ასევე, შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და ძირითადი დარღვევები, რაც 2022 წლის ინსპექტირებებისას გამოვლინდა. შეხვედარზე კიდევ ერთხელ განემარტა სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებს იმ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები რაც 2022 წელს, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში იქნა მიღებული. შეხვედრებს სამშენებლო სექტორის 240 წარმომადგენელი ესწრებოდა.

სამსახურის მიერ სხვა სექტორული მიმართულებითაც განხორციელდა შეხვედრები. მათ შორის, რითეილ ასოციაციის, დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის, საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციისა და სხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე სექტორთან დაკავშირებული, ბოლო დროს ამოქმედებული შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმები განიხილეს. მათ შორის, სპეციფიკური სამუშაობის ნუსხის ცვლილება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შრომის უსაფრთხოების ნორმები და სხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სექტორული მიმართულებით განხორციელებული შეხვედრების ფარგლებში სამსახურმა რესტორატორთა ასოციაციისა და სასტუმროების ფედერაციის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა, სადაც განხილული იყო ყველა ის გამოწვევა, რაც ბიზნესს აღნიშნულ სექტორში დღესდღეობით აქვს. შეხვედრის მთავარი თემა კი იყო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ნუსხაში შეტანილი ცვლილებები, რომელიც რესტორნებსა და სასტუმროებში მომუშავე პერსონალზეც ვრცელდება.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია და შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბექა ფერაძე ინვესტორთა საბჭოს წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: სამუშაო დროის აღრიცხვა,შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და სხვა. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა, რომლის მეშვეობით, ინვესტორთა საბჭოს წევრებმა მნიშვნელოვან თემებზე განახლებული ინფორმაცია მიიღეს.

სამსახურმა, სამედიცინო პერსონალისთვის სავალდებულო მინიმალური ხელფასის რეფორმის ფარგლებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან გამართა 5 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც კლინიკების 370 წარმომადგენელი ესწრებოდა.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა ევროპის საბჭოს ორგანიზებითა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მონაწილეობით ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთათვის სამუშაო ადგილებზე თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ გაიმართა შეხვედრა, სადაც სექტორის წარმომადგენლებთან განხილულ იქნა აღნიშნული მიმართულებით არსებული ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები. დისკრიმინაციასთან ბრძოლის ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა კომპანიებს ეხმარება, შეამცირონ თანასწორობასთან დაკავშირებული გამოწვევები და თანამშრომლებისთვისა და მომხმარებლებისთვის ღირსეული გარემო შექმნან.

სავაჭრო პალატის და კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის (CIPE) მხარდაჭერით, სამსახურმა კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა. განხორციელებულ შეხვედრებზე მეწარმეებს შრომის კანონმდებლობისა და უსაფრთხოების მიმართულებით განსაზღვრული ვალდებულებები და საკანონმდებლო სიახლეები გააცნეს. შეხვედრას 110 ბიზნესის წარმომადგენელი ესწრებოდა.

სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური შეხვედრების მიმართულებით, უნდა აღინიშნოს „ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი“-ს პროექტი „შრომის რეფორმის წარმატებით განხორციელების ეფექტური მექანიზმების დანერგვა ბიზნეს პრაქტიკაში“, რაც მოიცავდა HR შესაბამისობის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტების შექმნასა და მათი მდგრადობის უზრუნველყოფას. პროექტის მიზანს წარმოადგენდა, ჩამოყალიბებულიყო არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაწყვეტის მიმართულებით პრაქტიკული გზებისა და პრევენციის მიზნით ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმები. შეხვედრები საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში ხორციელდებოდა, სადაც სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე და შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის სამუშაო ადგილებზე დისკიმინაციის აკრძალვის სამმართველოს უფროსი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. სამსახურის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ ორგანიზაციის მხრიდან გამართულ 3 შეხვედრაში. გარდა ამისა, სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა HR ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, რომელიც ადამიანური რესურსების წარმომადგენლებისთვის განხორციელდა.

აქვე აღსანიშნავია, სამსახურის წარმომადგენლები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ასევე შემდეგ ტრენინგებს უძღვებოდნენ:

- "ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების ადვოკატირება იმერეთის საჯარო დაწესებულებებში იმერეთის საჯარო მოხელეებისთვის“, რომელიც საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ორგანიზებით განხორციელდა.
- HR შესაბამისობის სასერტიფიკატო პროგრამა, რომელსაც ინსტიტუციურმა და შესაძლებლობების განვითარების ცენტრმა უმასპინძლა.

6.2 შეხვედრები სტუდენტებთან

სტუდენტებში შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების, ასევე, სამსახურის შესახებ ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელიც მათ, როგორც მომავალმა დასაქმებულებმა/დამსაქმებლებმა, აქტიურ შრომით ბაზარზე გასვლისას უნდა იცოდნენ. ამ მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის ხელმძღვანელმა პირებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან **6 საინფორმაციო** ხასიათის შეხვედრა გამართეს საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

საინფორმაციო შეხვედრაზე სტუდენტებს სამსახურის მანდატი, საკანონმდებლო სიახლეები და შრომის უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები უწყების წარმომადგენლებმა გააცნეს. შეხვედრებზე განხილული იყო შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ყველა ძირითადი ნორმა, მათ შორის, სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის პრევენციის მექანიზმები, სტაჟირებისა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების წესი, ასევე, ის უსაფრთხოების სტანდარტები, რასაც საჯარო თუ კერძო ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ.

სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

6.3 შრომის უსაფრთხოების კვირეული და კამპანია - „შენც გახდი ინსპექტორი“

2023 წლის ნოემბრის დასაწყისში, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შრომის უსაფრთხოების კვირეული, რომელიც მოიცავთა სექტორულ დონეზე დასაქმებულებთან შეხვედრებს, მათთვის შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას საინფორმაციო ბუკლეტების მეშვეობით. ასევე, კვირეულის ფარგლებში განხორციელდა ახალ კამპანია - „შენც გახდი ინსპექტორი“.

კამპანიის ფარგლებში სწორედ ამ სლოგანით მიმართა სამსახურმა სოციალური ქსელებით და ტელევიზების მეშვეობით საზოგადოებას, რომ უშუალოდ ჩაერთონ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაში. საზოგადოებას მიეწოდა უფრო დეტალური ინფორმაცია, თუ რაში გამოიხატება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, როგორ არის შესაძლებელი მისი იდენტიფიცირება და როგორ შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ წევრს მსგავსი დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს სამსახურს.

6.4 საინფორმაციო კამპანია „ინსპექტორის რჩევები“

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურმა 2023 წელს განახორციელა საინფორმაციო კამპანია - „ინსპექტორის რჩევები“ და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით დასაქმებულებში ცნობიერების ამაღლების მიზნით გაავრცელა 10 ვიდეორგოლი, რომლებშიც უშუალოდ შრომის ინსპექტორები მიმართავდნენ საზოგადოებას და აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების შესახებ.

საინფორმაციო ვიდეორგოლები მოიცავდა ინფორმაციას: ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესის შესახებ; მშენებლობაზე მოაჯირების მოწყობის წესის შესახებ; ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმების წესის შესახებ; სექსუალური შევიწროვების შესახებ; შვებულების უფლების შესახებ; დეკრეტული შვებულებით სარგებლობის წესის შესახებ; სამუშაო სივრცეში განათების მოწყობის წესის შესახებ; სამთო-მოპოვებით სფეროში მავნე აირების გამოფრქვევის საფრთხის შესახებ; კვირაში 48 საათიანი სამუშაო გრაფიკის შესახებ;

ვიდეორგოლები საზოგადოების ფართოდ მოცვის მიზნით აიტვირთა სამსახურის ვებგვერდზე (lio.moh.gov.ge), ასევე, Facebook-ისა და youtube-ის გვერდებზე.

ინსპექტორის რჩევებმა საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ხელი შეუწყო ამ მიმართულებით დასაქმებულებში ცნობიერების ამაღლებას, რაზედაც მეტყველებს განთავსებულ ვიდეორგოლებზე სოციალური ქსლის მომხმარებელთა მრავლობითი უკუკავშირი. აღნიშნული საინფორმაციო კამპანია საზოგადოებრივი ინტერესისა თუ ინსპექტირებების შედგად გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად მომავალშიც გაგრძელდება.

6.5 ცნობიერების ამაღლების მიზნით მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში

საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე, სამსახურის მაძიებლებსა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებს შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით მნიშვნელოვანი კონსულტაცია გაუწიეს. სამსახურმა, ასევე მონაწილეობდა თბილისში ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციაში - “ბიზნესი და ადამიანის უფლებები“. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ნატო ნათენაძე. მისი გამოსვლის მთავარი თემა შრომის უფლებები და ამ მიმართულებით საქართველოს

კანონმდებლობით გარანტირებული საკითხები იყო. კონფერენციაში ათი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების, სამართლის საზოგადოების საბჭოსა (CCBE) და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ.

უწყება, ასევე ჩართული იყო თბილისში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმში, სადაც განხილვის თემა იყო შრომისა და დასაქმების პოლიტიკის საკითხები. ეკონომიკურ ფორმულზე სიტყვით გამოვიდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბექა ფერაძე, რომელმაც შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების მიმართულებით განხორციელებული ინპექტირებების ანალიზი წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. შეხვედრას სოციალური პარტნიორები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

გარდა ამისა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური ჩართული იყო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალურ კამპანიაში. აღნიშნული საერთაშორისო კამპანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 1990-იანი წლების დასაწყისიდან აღინიშნება. იგი მიზნად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვას ისახავს. საანგარიშო პერიოდში საქართველოშიც მიმდინარეობდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანია, რომელიც 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს დაიწყო და 10 დეკემბერს - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა.

კამპანიაში მონაწილეობდა სახელმწიფოს სხვადასხვა უწყება, რომლებსაც ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი ჰქონდა: ქალთა მიმართ ძალადობა, მსხვერპლთა მხარდაჭერა და მოძალადეთა დასჯა საქართველოს მთავრობის ეროვნული პრიორიტეტია. კამპანიის ფარგლებში სსიპ-შრომის ინსპექციის სამასახური მისი მანდატიდან გამომდინარე აქტიურად მონაწილეობდა. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისში, გაიმართა შეხვედრა ქალთა შრომითი უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ღონისძიებაზე სამსახურმა ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე, შედეგებზე, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. ღონისძიებას 10-მდე მუნიციპალიტეტის რეგიონული წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ასევე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია, სადაც მთავარი განსახილველი თემა საქართველოში სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების დანერგვის კუთხით არსებული პროგრესი და გამოწვევები იყო.

კონფერენციაზე მონაწილეობდა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი ომარ მარგველაშვილი. მან, სამუშაო ადგილზე სექსუალური

შევიწროვებისა და დისკრიმინაციის კუთხით არსებულ სტატისტიკასა და უწყების მუშაობის პრინციპებზე ისაუბრა. ასევე, ყურადღება გაამახვილა ამ მიმართულებით არსებულ სამუშაო პრაქტიკაზე.

კონფერენციაზე, ასევე, იმსჯელეს საჯარო და კერძო სექტორებში სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების აღსრულების საკითხებზე, განიხილეს სამუშაო ადგილსა და უმაღლეს სასწავლებლებში სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების დანერგვის საუკეთესო პრაქტიკა, საჭიროებები და გამოწვევები, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებებზე.

აქვე, აღსანიშნავია **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე,** რომელიც 30 ივლისს აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, შრომის ინსპექციის სამსახურისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობით, თბილისსა და ბათუმში, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. შრომითი ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ შეხვედრებს, კერძო კომპანიებში დასაქმებულ პირები ესწრებოდნენ.

პროკურორებმა და შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებმა მიმოიხილეს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით არსებული მდგომარეობა, მიღწევები და გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვაზე ორიენტირებული მიდგომისა და მხარდაჭერის საკითხებს.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ დაიცვან თავი შრომითი ექსპლუატაციისგან, ვის მიმართონ ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევის დროს და რა სახელმწიფო სერვისებია ხელმისაწვდომი დაზარალებულთათვის. შეხვედრაზე ასევე განიხილეს, თუ რა სამართლებრივი მექანიზმებით ებრძვის სახელმწიფო ამ დანაშაულს და როგორია შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების პრევენციის, შრომითი ტრეფიკინგის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი.

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ტრეფიკინგთან ბრძოლა, ამ მიმართულებით უწყება აქტიურად მუშაობს.

საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და ამ მიმართულებით თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს მუდმივ რეჟიმში ახორციელებს.

6.6 სამსახურის ცხელი ხაზის (15-75) საქმიანობის შედეგები

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის 2022 წლის 2 მაისიდან შეუდგა საქმიანობას საქართველოს პროგრესული ფორუმისა და UNDP-ს ერთობლივი ძალისხმევით. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის განმავლობაში საკონსულტაციო ცენტრი სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებდა, რომლის დროსაც 6600-ზე მეტი ზარის მართვა განახორციელა, რომლის შესაბამისადაც პირველადი შედეგების პრეზენტაცია 2023 წლის იანვრის თვეში განხორციელდა.

საკონსულტაციო ცენტრის მუშაობა დადებითად შეფასდა სამთავრობო თუ საერთაშორისო უწყებების მიერ და მათი თქმით ახალი პლატფორმა კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის სამსახურის საქმიანობას.

რაც შეეხება, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში ცხელი ხაზის (15-75) მიერ დამუშავებული ზარების შესახებ ინფორმაციას. ჯამში დამუშავებულ იქნა **11 192** შემომავალი ზარი. სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის გათვალისწინებით თემატურად განხორციელებული ზარების შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ☐ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა 1063 ზარი;
- ☐ ელექტრონულ პროდუქტებთან დაკავშირებით 180 ზარი;
- ☐ ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით 1268 ზარი;
- ☐ იძულებითი შრომა/ტრეფიკინგი 3 ზარი;
- ☐ ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით 6023 ზარი;
- ☐ საჩივარი 1742 ზარი;
- ☐ უბედური შემთხვევის შეტყობინება 83 ზარი;
- ☐ სხვა 830 ზარი.

№32 დიაგრამაზე წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა თემატიკის შესაბამისად.

დიაგრამა №32

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა თემატიკის შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023წელი

აქვე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი თემებიდან ქვეთემების შესაბამისად სამსახურის მიერ შემოსული ზარების აღრიცხვა განხორციელდა, რომლის შედეგად **ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით** შემოსული 1268 ზარი შემდეგნაირად გადანაწილდა: ინსპექტირების პროცედურებთან 174 ზარი; შრომითი უფლებები 317 ზარი; შრომის უსაფრთხოება 777 ზარი.

№33 დიაგრამაზე წარმოდგენილია ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად.

დიაგრამა №33

საანგარიშო პერიოდში ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023წელი

ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით შემოსული **6023** ზარი შემდეგნაირად გადანაწილდა: აკრედიტებული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით 62 ზარი; შრომითი უფლებები 5170 ზარი; შრომის უსაფრთხოება 635 ზარი; სხვა საკითხებზე 156 ზარი.

№34 დიაგრამაზე წარმოდგენილია **ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით** საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად.

დიაგრამა №34

საანგარიშო პერიოდში ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023წელი

საჩივართან დაკავშირებით შემოსული **1742** ზარი შემდეგნაირად გადანაწილდა: ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებული სამართალდარღვევის ოქმის/დადგენილების თაობაზე 248 ზარი; განაცხადის დარეგისტრირების საკითხები 734 ზარი; შრომითი უფლებები 586 ზარი; შრომის უსაფრთხოება 138 ზარი; სხვა 36 ზარი.

№35 დიაგრამაზე წარმოდგენილია **საჩივართან დაკავშირებით** საანგარიშო პერიოდში სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად.

დიაგრამა №35

საანგარიშო პერიოდში საჩივართან დაკავშირებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ცხელ ხაზზე (15-75) შემოსული ზარების თანაფარდობა ქვე-თემების შესაბამისად



წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023წელი

თავი 7. თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ

7.1 მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტები

2023 წლის საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექტირების პროცესის დახვეწისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მომზადდა/მზადების პროცესშია 6 სახელმძღვანელო დოკუმენტი:

დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირების საკითხები	• შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ექსპერტული მხარდაჭერით
არასრულწლოვნებსა და სხვა მოწყვლად შრომით ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები	• შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ექსპერტული მხარდაჭერით
სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესწავლის მეთოდოლოგია	• შემუშავდა ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ექსპერტული მხარდაჭერით
სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების პრინციპების სახელმძღვანელო	• მზადდება "გაეროს განვითარების პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასთვის-ფაზა 2" ექსპერტული მხარდაჭერით
რასობრივი, ეთნიკური დისკრიმინაციის საქმეების ეფექტურად მოკვლევის სახელმძღვანელო	• მზადდება "გაეროს განვითარების პროექტის "ადამიანის უფლებები ყველასთვის-ფაზა 2" ექსპერტული მხარდაჭერით
გენდერულად პასუხისმგებლიანი შრომის ინსპექცია	• რეკომენდაციები და ინსტრუმენტები სამსახურის მიერ ანტიდისკრიმინაციული ნორმების პრაქტიკაში აღრსულებაზე ზედამხედველობის მიზნით შემუშავდა ევროკავშირის პროექტის (EU4GenderEquality) ექსპერტული მხარდაჭერით

საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტები განთავსებულია/განთავსდება სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე, პუბლიკაციების ბლოკში.[12]

[12] იხ. პუბლიკაციები: https://lio.moh.gov.ge/publication.php?lang=1&id=1

7.2 თანამშრომელთა გადამზადება

სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლება. ამ მიზნით, 2023 წელს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და სამსახურის შიდა რესურსებით, თანამშრომლებს ჩაუტარდათ არაერთი ტრენინგი და სემინარი. 2023 წელს მომზადდა შრომის ინსპექტორების საჭიროებებზე დაფუძნებული შიდა სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა და განხორციელდა ყველა შრომის ინსპექტორის გადამზადება. ასევე, მიმდინარე წელს დამყარდა აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან პირველადი და აუცილებელი ტრენინგების ჩასატარებლად საჭირო რესურების მოძიებისა და მობილიზების მიზნით. შედეგად, სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ 15 სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. ტრენინგები ჩატარდა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების სახვადასხვა პროექტების ფარგლებში, მათ შორის, ევროპის საბჭოს პროექტის "სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება“, ევროკავშირის საჯარო მმართველობის პროექტის“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის “გლობალური პროგრამა-განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება“ ფინანსური მხარდაჭერით. ასევე, სამსახურს თანამშრომელთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში მხარდაჭერა გაუწიეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (EUTO).

2023 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით დასაქმებულ პირთათვის, მათ შორის, შრომის ინსპექტორთა უნარების გაძლიერების მიზნით, ევროპის საბჭოს პროექტის **"სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება"** მხარდაჭერით განხორციელდა გადამზება შემდეგი მიმართულებით :

1. სამსახურის 13-მა ახალმა და მოქმედმა თანამშრომელმა წარმატებით დაასრულა ევროპის საბჭოს იურიდიული სფეროს წარმომადგენელთა ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლების (HELP) პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ 3 თვიანი სასწავლო კურსი.
2. ბავშვთა შრომა ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების ფარგლებში;
3. შრომის ინსპექტირების პროცესში დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირება და რეაგირების სათანადო მექანიზმები;
4. შრომის ინსპექტირების პროცესში არასრულწლოვნებთან და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის პრაქტიკული უნარების განვითარება და მონაცემთა შეგროვების პროცესში ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გაზიარება;
5. ტრენინგი შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტების შუქზე.

ასევე, **გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)** მხარდაჭერით სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ თემაზე:

1. „სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმები “.

ევროკავშირის საჯარო მმართველობის რეფორმ-ის პროექტის ფარგლებში განხორციელდა 3 ტრენინგი:

1. საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების თემაზე;
2. სტრესის მართვა;
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები;

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ, ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით განხორციელდა გადამზადება შემდეგი მიმართულებით:

1. შრომითი მიგრაციის კანონში შესული ცვლილებების თაობაზე;
2. დასაქმების რეგულაციების მონიტორინგისა და აღსრულების მიმართულებით.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (German International Cooperation Society-GIZ) პროექტის “გლობალური პროგრამა-განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება“ (GIZ_MEG) მხარდაჭერით ჩატარდა

ტრენინგი შემდეგი მიმართულებით: ტრენერთა ტრენინგი და რბილი უნარების ტრენინგი.

გარდა ამისა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (EUTO) პროექტის ფარგლებში საქართველოს შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა „სიმულაციური ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის თემაზე“. ეროვნული სიმულაციური ტრენინგის მიზანი მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომისა და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის განხორციელების მიმართულებით სფეროში დასაქმებული პრაქტიკოსების უნარ-ჩვევების ამაღლებაა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დანაშაულის დროულ გამოვლენასა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში ეფექტიან ინტეგრაციას.

ტრენინგი უნიკალური შესაძლებლობაა შრომის ინსპექტორებისთვის სიმულაციურად შექმნილ, მაქსიმალურად რეალურ და, ამავდროულად, უსაფრთხო გარემოში ჩაერთონ ადამიანით ვაჭრობის შემთხვევის გამოვლენისა და მასზე შემდგომი რეაგირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, სადაც სიმულაციური ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სწავლების ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდად დაინერგა. პირველი ტრენინგი 2022 წელს ჩატარდა. წელს საქართველოში მეორედ განხორციელდა მსგავსი სწავლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამსახურში დასაქმებული უფროსი შრომის ინსპექტორები და შრომის ინსპექტორები გადამზადდნენ უშუალოდ სამსახურის მიერ შემუშავებული სწავლების გეგმის პროექტის ფარგლებში და გაიარეს გეგმით განსაზღვრული I და II საფეხური, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ყველა იმ ფუნდამენტურ სამართლებრივ დოკუმენტებს ზოგადი თუ თემატური მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია ინსპექტირების პროცესთან. პროექტი ასევე მოიცავს მე-3 ტექნიკური დონის საფეხურს შრომის უფლებებზე ზედამხედველობისა და შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის მიმართულებით, რომელიც განხორციელდება და დასრულდება 2024 წლის I კვარტლისთვის.

თავი 8. საერთაშორისო თანამშრომლობა

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური დაარსების დღიდან, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით ზრუნავს საერთაშორისო მიმართულებით კოორდინირებული და ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარებაზე და ამ მიზნით მჭიდრო კომუნიცია აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა მხარდაჭერით სამსახურის ინსტიტუციური განვითარებისა და ქვეყანაში შრომითი უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესების, საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა, თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება, ცნობიერების ამაღლების მიზნით სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ცენტრალურ თუ რეგიონული დონეზე, საჯარო დისკუსიებსა და კონფერენციებში მონაწილეობა/ჩართულობა, ტექნიკური აღჭურვის მიმართულებით მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით მნიშვნელოვანი პროექტები/ღონისძიებები განახორციელა. ასევე, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორისაა: ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), სოლიდარობის ცენტრი, საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრი (CIPE) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის ფარგლებში სამსახური საქართველო-ევროკავშირის ასოცირების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში შექმნის დღიდან არის ჩართული, რომლის შესაბამისად 2019-2022 წლებში ხორციელდებოდა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“[13]. მიმდინარე წელს სამსახურის ჩართულობით, ახალი პროექტის დაწყების მიზნით განხორციელდა რიგი აქტივობები სამინისტროსთან კოორდინაციით, რომლის შედეგადაც ახალი პროექტის განხორციელება დაგეგმილია 2024 წლის მარტიდან.

2023 წლის განმავლობაში გატარებული სამსახურის მიერ რეფორმების, მისი საქმიანობის გაცნობისა და თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს არაერთი სტუმარი ეწვია. გატარებული რეფორმებისა და პროგრესის გაცნობის მიზნით IOM-ის მხარდაჭერით საინფორმაციო შეხვედრა, ასევე, განხორციელდა ტაჯიკეთის დელეგაციის წარმომადგენლებთან, რომლებსაც გაეცნოთ შრომის ინსპექციის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

[13] ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი „საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება“ - https://eu4georgia.eu/projects/eu-project-page/?id=653

8.1 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) თანამშრომლობა

International Labour Organization

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) სამსახურის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია, რომელიც ქვეყანაში შრომის ინსპექტირების სისტემის შექმნისა და განვითარების გზაზე მუდმივად ახორციელებს ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით შესაბამის ღონისძიებებს, სხვადასხვა პროექტების საშუალებით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) დიდი როლი ითამაშა შრომის ინსპექციის სამსახურის ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური განვითარების პროცესში. ILO-ს ფარგლებში მოქმედი პროექტები მოიცავდა ისეთ აქტივობებს, როგორიცაა თანამშრომლეთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიულ გადამზადება, სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერას, შესაბამისი პუბლიკაციების, მათ შორის, სამსახურის წლიური ანგარიშების თარგმნასა და დაბეჭდვას. ასევე, საზოგადოებაში, განსაკუთრებით დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის შრომითი ნორმების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში მხარდაჭერას.



საანგარიშო პერიოდში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტის "ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი საქართველოში სამუშაო ადგილების შესაქმნელად" მხარდაჭერით განხორციელდა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მხარდაჭერა. მათ შორის, მომზადდა და ფართო საზოგადოების მოცვის მიზნით ტელევიზიებში, სოციალურ მედიასა და სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა შემდეგი 2 ვიდეორგოლი:



- ☐ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებში დასაქმებული ექიმებისა და ექთნებისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- ☐ სპეციფიკური სამუშაოების ნუსხის შემცირებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის თაობაზე შედგენილი 2022 წლის საქმიანობის ანგარიში ILO-ს მხარდაჭერით ითარგმნა და მომზადდა საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებზე ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე გასავრცელებლად. სამსახურის

მიერ აღნიშნული ანგარიში საჯაროდ განთავსებულ იქნა ოფიციალურ ვებგვერდზე.[14]

აქვე, აღსანიშნავია, რომ სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის დღესთან დაკავშირებით (28 აპრილი) ILO-ს მიერ მომზადებული პოსტერი ითარგმნა და ბეჭდური სახით გადაეცა სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს. აღნიშნული პოსტერების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობებისა თუ ინსპექტირებების ფარგლებში გაზიარებულ იქნა სამუშაო ადგილებზე.

გარდა ამისა, ILO-ს მხარდაჭერით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურისა და სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ სლოვაკეთში. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბექა ფერაძე და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს უფროსი ნინო ველთაური. ვიზიტის მთავარი თემა თანაბარი შრომის შესაძლებლობები და მიგრაციის საკითხები იყო. გამოცდილების გაზიარების მიზნით რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ევროპის შრომის სააგენტოში[15]. ვიზიტისის გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ასევე გაიმართა შრომის სოციალური და ოჯახის საკითხთა ცენტრალური სამსახურის, შრომის სამინისტროსა და შრომის ეროვნული ინსპექციის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც გავლენას ახდენს დასაქმების პოლიტიკაზე, შრომით მიგრაციასა და სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში, ILO-ს მხარდაჭერით, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარმა შრომის ინსპექტორმა ბექა ფერაძემ ქ. ჟენევაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის 111-ე სესიის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ მსოფლიო შრომის სამიტს: **სოციალური სამართლიანობა ყველასთვის.** სამიტზე სამმხრივ ფორმატში განხილული იქნა რიგი საკითხები. მათ შორის: სოციალური სამართლიანობის საკითხები, წინადადება სოციალური სამართლიანობისთვის გლობალური კოალიციის შექმნის შესახებ. განიხილავდნენ უთანასწორობასა და არაფორმალურობას, თანაბარ შესაძლებლობებს, უწყვეტი სწავლისა და

[14] სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ანგარიშები იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2

[15] ევროპის შრომის სააგენტო - https://www.ela.europa.eu/en

უნარების განვითარებას, სოციალურ დაცვას და ვაჭრობის წინსვლის გზებს, მდგრად განვითარებას და ადამიანის და შრომის უფლებებს.

კონფერენციის პარალელურად წარმომადგენლები შეხვდნენ მოლდოვის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო მდივანს კორინა აიდერს, რომელიც აირჩა ILC 111-სესიის ვიცე-პრეზიდენტად. შეხვედრის მიზანი იყო. შეხვედრისას საქართველოში შრომის ინსპექტირების სისტემური მოწყობისა და შრომით ნორმებზე ზედამხედველობის შესახებ წარმატებული პრაქტიკის გაზიარება გახლდათ განხილვის საგანი.

აღსანიშნავია, რომ შრომის 111-ე საერთაშორისო კონფერენციას ჯამში ესწრებოდა შსო-ს წევრი 187 ქვეყნის დაახლოებით 5000 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ მთავრობებს, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს. კონფერენცია ჩატარდა 2023 წლის 5-16 ივნისის პერიოდში, გაეროს ერების სასახლეში, ჟენევაში.[16]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი "ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი სამუშაო ადგილების შესაქმნელად საქართველოში" მიმდინარე წელს დასრულდა, რომლის საქმიანობის შესახებ დასკვნითი კონფერენციაზე 2017 - 2023 წლების საანგარიშო პერიოდში პროექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგების, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ ისაუბრეს. კონფერენციაზე, ასევე, საუბარი შეეხო სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს, მასთან მიმართებით განხორციელებულ პროექტებსა და მიღწეულ შედეგებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური მჭიდრო თანამშრომლობას 2024 წელსაც გააგრძელებენ.

8.2 საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობა

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური 2021 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან, რომელმაც სამსახურს განსაკუთრებული მხარდაჭერა გაუწია ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით ევროპის სოციალური ქარტიით განსაზღვრული დებულებების მხარდაჭერის მიზნით. მხარდაჭერის მიმართულებით ხაზგასასმელია აღინიშნოს ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“[17] როლი, რომლის უშუალო ბენეფიციარს სხვა უწყებებთან ერთად სწრორედ, რომ შრომის ინსპექციის სამსახური წარმოადგენს. პროექტი 2021-2023 წლების განმავლობაში ხორციელდებოდა და წარმოადგენდა საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წწ სამოქმედო გეგმის ნაწილს. სოციალური და ეკონომიკური უფლებების უწყვეტი ხელშეწყობის ფარგლებში პროექტი მიზნად ისახავდა სამსახურის გაძლიერებას ევროპის სოციალური ქარტიის დებულებებთან დაახლოების საშუალებით. პროექტი სამსახურთან თანამშრომლობის მიმართულებით რამდენიმე კუთხით წარიმართა და

[16] დეტალური ინფორმაცია შრომის 111-ე საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით იხილეთ ბმულზე: https://www.ilo.org/ilc/ILCSessions/111/lang--en/index.htm

[17] ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ შესახებ დეტალური ინფრომაცია იხილეთ ბმულზე: https://www.coe.int/ka/web/tbilisi/strengthening-protection-of-social-and-economic-rights-in-georgia

მოიცავდა შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციურ შეფასებას, თანამშრომელთა პროფესიული გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო ვიზიტს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროექტთან თანამშრომლობა შრომის ინსპექტორთათვის პროფესიული უნარების გაძლიერების მიმართულებით. პროექტის ფარგლებში აღსანიშნავია, რომ შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით დასაქმებულმა პირებმა, მათ შორის, შრომის ინსპექტორებმა წარმატებით (რეგიონში უმაღლესი, 96%-იანი მაჩვენებლით) გაიარეს ევროპის საბჭოს იურიდიული სფეროს წარმომადგენელთა ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლების (HELP) პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარდა სხვა დოკუმენტებს, როგორიცაა ევროპის სოციალურ ქარტია (ESC), ევროსაბჭოს კონვენციები საკვანძო სფეროებში, მაგალითად, მონაცემთა დაცვა, შრომითი უფლებები. ამის გარდა, პროექტის მხარდაჭერით კურსში ჩართულ იქნა ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია, ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) იურისპრუდენცია. კურსი მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ შრომით უფლებებს ძირითადად ევროპის სოციალური ქარტიის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლების საფუძველზე. კურსი ასევე იძლევა შედარების შესაძლებლობას ევროკავშირის ქარტიასთან და მიმოიხილავს ევროკავშირის შესაბამის სამართალს. იგი მოიცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად კონვენციებსაც. კურსის განხორციელებაში მხარდაჭერა პროექტმა 2022-2023 წლებში გასწია, რომელშიც სამსახურის მხრიდან მონაწილეობდნენ შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება შრომით უფლებების მიმართულებით განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში ინტენსიურად გამოიყენება უშუალოდ სამართალდარღვევის გამოვლენისას სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და დასკვნებში.

2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის პროექტის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა შრომით უფლებებზე ზედამხედველობის მიმართულებით დასაქმებულ თანამშრომელთა გადამზადება და სამუშაო შეხვედრა ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში ეროვნული ანგარიშების მომზადების საკითხებზე. თანამშრომლებისათვის ასევე, ჩატარდა ბავშვთა შრომის თემაზე სემინარი. შეხვედრაზე განხილული იყო ევროპის სოციალური ქარტიის სტანდარტები და საუკეთესო ევროპული პრაქტიკა. საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებისათვის განხორციელდა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები არასრულწლოვნებთან და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებების, სექსუალური შევიწროებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შესახებ, რომელიც დაეხმარება შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებს, გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები და გამოიყენონ არასრულწლოვანზე და სხვა მოწყვლად პირებზე ორიენტირებული მიდგომები ინსპექტირების პროცესში. გარდა ამისა, პროექტის მხარდაჭერით მომზადდა რიგი სახელმძღვანელოები შრომი ინსპექტორთათვის:

- ☐ დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების იდენტიფიცირების საკითხები - ფსიქოლოგიური ნაწილი;
- ☐ არასრულწლოვნებსა და სხვა მოწყვლად შრომით ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებები;
- ☐ სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესწავლის მეთოდოლოგია.

ევროპის საბჭოს პროექტმა „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გასწია. სამსახური საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებს, რომელიც საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 წწ. სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდება[18]. აქვე, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი დადებითად აფასებს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებულ ყოვლისმომცველ რეფორმას და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს კანონმდებლობის სრულყოფისა და საზედამხედველო მექანიზმის გაძლიერებისთვის, მათ შორის, შრომის ინსპექციის სამსახურის ადამიანური და საბიუჯეტო რესურსების გაზრდისა და შრომის ინსპექტორთათვის შრომის უფლებების შესაბამის სტანდანდარტებზე უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფის მიმართულებით.

8.3 ევროკავშირის პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

შრომის ინსპექციის სამსახური 2022 წლიდან თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტთან „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა სამსახურის კეთილსინდისიერების სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2023-2026 წლების პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით სამსახურის საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობას. გარდა ამისა, პროექტის მიერ განხორციელდა აღნიშნულ თემატიკაზე სამსახურის ყველა თანამშრომლის გადამზადება. პროექტის მხარდაჭერით ასევე განხორციელდა თანამშრომელთა გადამზადება სტრესის მართვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებზე.

8.4 მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობა

IOM
UN MIGRATION

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) შექმნის დღიდან აქტიურად თანამშრომლობს და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მისი მხარდაჭერით განხორციელდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის, შრომითი მიგრაციისა და ეთიკური დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე შრომის ინსპექტორთა გადამზადება. ამასთან მისი მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა „შრომის ინსპექტორთათვის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის საკითხებზე სახელმძღვანელო“.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით გაღრმავდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობა, რაც უკავშირდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული

[18] ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების გეგმა საქართველოსთვის იხილეთ ბმულზე: https://rm.coe.int/action-plan-for-georgia-2024-2027-geo/1680ae2683

ცვლილებების შესაბამისად შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის გაფართოებას, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმებს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

ახალი მანდატის ეფექტური განხორციელებისათვის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) აქტიურ მხარდაჭერას უწევს სამსახურს, რაც მოიცავს ამ მიმართულებით თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას საერთაშორისო სტანდარტების, კანონით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებისა და მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

8.5 გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ურთიერთობა

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების გათვალისწინებით სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისა და კანონის ეფექტურად აღსრულების მიზნით 2023 წლის მესამე კვარტალში შედგა კომუნიკაცია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტთან - “გლობალური პროგრამა-განვითარებაზე ორიენტირებული მიგრაციის ჩამოყალიბება“. აღნიშნულის შედეგად განხორციელდა რიგი საინფორმაციო სამუშაო შეხვედრები, მათ შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით, რათა განხორციელებულიყო საერთო მიზნებისა და აქტივობების დაიდენტიფიცირება და კოორდინირებული თანამშრომლობა.

განხორციელებული შეხვედრების შედეგად, განსაზღვრული საჭიროებებისა ორგანიზაციების მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერის შესაბამისად, პროექტთან თანამშრომლობის გეგმა შემუშავდა, რომლის საფუძველზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურის თანამაშრომელთა გადამზადება ტრენენთა უნარების და რბილი უნარების (დროის, სტრესისა და კონფლიქტების მართვა) გაძლიერების მიზნით.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროექტის მხრიდან ექსპერტული მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა 3 ტიპის შრომითი ხელშეკრულების შაბლონზე, მათ შორის, ზოგადად დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ხელშეკრულების შაბლონზე; შრომით ემიგრანტსა და უცხოელ დამსაქმებელს შორის საქართველოში გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შაბლონზე; შრომით იმიგრანტსა და ადგილობრივ დამსაქმებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შაბლონზე. აღნიშნული აქტივობა პროაქტიული თვალსაზრისით მიზნად ისახავს ქვეყანაში ჯანსაღი და ღირსეული შრომითი ურთიერთობების ხელშეწყობას, მხარდაჭერას და შრომით უფლებებზე ზედამხედველობის ეფექტურობის ხელშეწყობას. განსაზღვრული აქტივობები 2024 წლის პირველ კვარტალში დასრულდება და მიღებული დოკუმენტების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას სამსახური უზრუნველყოფს.

8.6 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხების დაიდენტიფიცირებისა და ახალი თანამშრომლობის არხების შექმნის მიზნით სამსახურის მიერ **13 სამუშაო შეხვედრა** განხორციელდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან. მათ შორის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ევროპის საბჭოს ოფისის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), სოლიდარობის ცენტრის, საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრის (CIPE) წარმომადგენლებთან. აქვე, აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ორგანიზებით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დონორთა საკოორდინაციო შეხვედრაში, სადაც მოწვეულ სტუმრებთან გაზიარებული იქნა სამსახურის მიერ დაიდენტიფიცირებული მხარდაჭერის საჭიროებები.

რაც შეეხება, განხორციელებულ შეხვედრებს, აღსანიშნავია, რომ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს, 2023 წლის ოქტომბრის თვეში ეწვია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის დირექტორი ბეატე ანდრეესი. შეხვედრაზე მთავარმა შრომის ინსპექტორმა ბექა ფერაძემ და სამსახურის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენელს, ქვეყანაში შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა გააცნო. საუბარი შეეხო შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. მხარეებმა განიხილეს ის მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმებიც, რაც დასაქმებულთა უფლებებისა და უსაფრთხოების კიდევ უფრო გაუმჯობესებისკენ არის მიმართული[19]. შეხვედრაზე ბეატე ანდრეესმა უწყების მიერ გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა. ასევე, დადებითად შეფასდა ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და აღსრულების მექანიზმები. სტუმარმა აღნიშნა, რომ საქართველოში შრომის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, **შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა რეგიონულ ჭრილში მოწინავე ადგილს იკავებს.**

[19] დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/news.php?lang=1&id=20231002115242556406081 1

ნოემბრის თვეში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბუდაპეშტის ოფისის დირექტორი კლერ ჰარასტი, რომელიც სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურს ეწვია და გაეცნო ქვეყანაში შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობას. შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე[20].

გარდა ამისა, 2023 წლის სექტემბერში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს შრომის დეპარტამენტის, სოლიდარობის ცენტრისა და კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის (CIPE) ევროპისა და აზიის ოფისის ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობას. შეხვედრაზე საუბარი შეეხო იმ რეფორმებსაც, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ამ სფეროში განხორციელდა. შრომის ინსპექციის საქმიანობა დადებითად იქნა შეფასებული. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც განიხილეს, რომელთა მთავარი მიზანიც დასაქმებული ადამიანების უფლებების დაცვა და რეალიზებაა. შეხვედრის შემდეგ, ამერიკელი სტუმრები შრომის ინსპექტორებთან ერთად ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტს ესტუმრნენ და თავად დააკვირდნენ როგორ მიმდინარეობს უშუალოდ ინსპექტირების პროცესი, როგორც შრომის უფლებების, ასევე შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრი (CIPE) სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია, რომელიც სამსახურთან მისი შექმნის დღიდან თანამშრომლობს შრომის სამართლის აღსრულების პროცესში დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. თანამშრომლობის შედეგების შეფასებისა და სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით საქართველოში ვიზიტით მყოფი საერთაშორისო კერძო მეწარმეობის ცენტრის ევროპა-

[20] დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://lio.moh.gov.ge/news.php?lang=1&id=20231127053750162492664 8

ევრაზიის პროგრამის დირექტორი ელისაბედ ლენზ ჯედვაბსსა და პროგრამის ოფიცერს ანა გოლტერმანს საანგარიშო პერიოდში დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია და შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბექა ფერაძე შეხვდნენ. მხარეებმა შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარების შესახებ ისაუბრეს და უწყების საქმიანობის პრიორიტეტები გააცნეს.

სოლიდარობის ცენტრი საქართველოში სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა დაცვის მიმართულებით არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას ახორციელებს და ამ მიმართულებით იგი შრომის ინსპექციის სამსახურის მნიშვნელოვანი პარტნიორია. საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის უფროსი ბექა ფერაძე სოლიდარობის ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობის პროგრამის დირექტორს, სტანისლავ ჩიენიუხს და ადგილობრივი ოფისის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრაზე ბექა ფერაძემ, უცხოელ კოლეგას შრომის ინსპექციის სამსახურის პრიორიტეტები და მიმდინარე საქმიანობა გააცნო.

გამოცდილების გაზიარების მიზნით აპრილის თვეში ტაჯიკეთის შრომის ინსპექციის წარმომადგენლების ვიზიტი განხორციელდა. შეხვედრისას საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების მიმართულებით გატარებული რეფორმები, ასევე, შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური განვითარება და პროგრესი იქნა გაზიარებული, რაც ბევრი ქვეყნისათვის სისტემის რეკორდულ დროში ეფექტურად განვითარების სანიმუშო მაგალითს წარმაოდგენს.

ვიზიტის ფარგლებში უცხოელი კოლეგები გაეცნენ შრომის ინსპექციის სამსახურის მუშაობის პრინციპებს და ზოგადად შრომის ინსპექტირების მექანიზებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იძულებითი შრომის, შრომითი ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ბავშვთა შრომის საკითხებზე.

შეხვედრა გამოცდილებისა და იმ პრაქტიკის გაზიარებას ისახავდა მიზნად რაც შრომის ინსპექციის სამსახურმა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის მიმართულებით დააგროვა.

თავი 9. მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭო საქმიანობის მიმოხილვა

„შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, 2021 წლის მარტიდან ფუნქციონირებს მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ. „სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარი შრომის ინსპექტორის 2023 წლის 7 ივნისის № LIO 5 23 00000442 ბრძანების შესაბამისად მრჩეველთა საბჭოს ახალი შემადგენლობა დაკომპლექტდა შემდეგი წევრებით:

ცხრილი №8

მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა

მხარე	წარმომადგენელი
	საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
	საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი
	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი
	ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
	ა(ა)იპ - საქართელოს ბიზნეს ასოციაციის იურიდიული დირექტორი
	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე

2021-2023 წლებში მრჩეველთა საბჭოს სულ რვა შეხვედრა გაიმართა, მათგან, 2023 წელს გაიმართა ორი შეხვედრა. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ სხდომებზე განხილულ იქნა სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში. ამასთანავე, განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ICDC - ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის პროექტი (პროექტი - „შრომის რეფორმის წარმატებით განხორციელების ეფექტური მექანიზმების დანერგვა ბიზნეს პრაქტიკაში“);
- „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №597 დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები;
- დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან დაკავშრებით, საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადები;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ინიციატივები.

თავი 10. სამომავლო გეგმები

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამომავლო ხედვასა და სტრატეგია განისაზღვრება, ეროვნულ დონეზე, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დოკუმენტებით. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სამსახური აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და შესაბამისად დასახული ამოცანების შესრულების მიმართულებით. აქვე აღსანისნავია, რომ სამსახური შრომის ინსპექციის შესახებ საქართველოს კანონისა და სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის დებულების შესაბამისად აქტიურად იყო ჩართული შრომის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავებაში, რომლის შედეგად სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2024-2028 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სტრატეგიის განხორციელების 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის შესაბამისად სამსახური შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას შემდეგი ამოცანების განხორციელებისთვის:

- შრომით ნორმებზე ეფექტიანი ზედამხედველობა და პროცესში თანმდევი საქმეების შესწავლა;
- შრომის ინსპექციის საქმიანობასა და საკანონმდებლო სიახლეებზე საზოგადოების, მათ შორის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება;
- საქართველოს შრომის კანონმდებლობის დასახვეწად და მისი გამოყენების გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება, მათ შორის, სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული დირექტივების იმპლემენტაციის ხელშეწყობა;
- სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების კვალდაკვალ, სტრუქტურული დახვეწა, საკადრო რესურსების გაზრდა და თანამშრომელთათვის მუდმივი გადამზადების სისტემის განვითარება/დახვეწა;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და საჭიროებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება;
- სამსახურის ელექტრონული პროდუქტების მართვა, მუდმივ მონიტორინგი და დახვეწა /განვითარების მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება შესაბამისად კომპეტენტურ უწყებებთან;
- სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა;

დანართი

ცხრილი №1

	შრომით ნორმებზე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები
1.	„ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის პირველი მაისის №167 დადგენილება
2.	„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ კლინიკებში დასაქმებულთა მინიმალური საათობრივი ანაზღაურების საკითხებზე ზედამხედველობის განხორციელების მეთოდების, პროცედურებისა და სპეციალური ელექტრონული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 8 მაისის №MOH 0 23 00000168 ბრძანება
3.	,,სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის №01-15/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 28 აპრილის №27/ნ
4.	„ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 6 აპრილის №140 დადგენილება
5.	„შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის,განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 13 ივნისის №40/ნ ბრძანება; „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის,განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 6 ნოემბრის №81/ნ ბრძანება
6.	,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებისდამტკიცების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-119/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 21 ივნისის №42/ნ ბრძანება; ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებისდამტკიცების შესახებ” საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №01-119/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 14 დეკემბრის №91/ნ ბრძანება
7.	„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის, საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 20 აპრილის №01-36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 20 დეკემბრის №95/ნ ბრძანება

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი

ცხრილი №2

2023 წლის საანგარიშო პერიოდში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზეგანხორციელებული განხორციელებული პირველადი და განმეორებით ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად გაცემული 14 173 მითითების გადანაწილება	
ობიექტზე არ არის ჩატარებული სწავლება/ინსტრუქტაჟები	1257
დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	1212
ობიექტზე არ არის შეფასებული რისკები	902
ობიექტი არ არის აღჭურვილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით	892
ობიექტზე არ არის განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი	866
ობიექტზე არ არის შემოწმებული ტექნიკური აღჭურვილობა	851
ობიექტს არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	736
ობიექტზე არ არის გამოყოფილი საშიში ზონები	639
ობიექტზე არ აღირიცხება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები, საშიში შემთხვევები და პროფესიული დაავადებები	636
დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი უბედური შემთხვევის დაზღვევით	551
ობიექტზე გამოიყენება კუსტარულად დამზადებული და არასწორად აგებული ხარაჩოები	546
ობიექტზე არ არის განთავსებული მოაჯირები	525
ობიექტზე არ წარმოებს ფიზიკური ფაქტორების გაზომვა	433
ობიექტზე გამოიყენება კუსტარულად დამზადებული კიბე	404
ობიექტზე არ არის დაფარული ღიობები	393
ერგონომიკა	311
ობიექტზე არ არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები	270
ობიექტზე დასაქმებულ პირებს არ უტარდებათ პერიოდული სამედიცინო შემოწმება	261
არ არის შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა და შრომის უსაფრთხოების გეგმა	252
ობიექტზე დარღვეულია ჟანგბადისა და თხევადი აირის ბალონების დასაწყობების წესი	218
ელექტრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებს არ აქვთ შესაბამისი ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტი	217
ობიექტზე არ არის გამოყოფილი ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი	200
ობიექტზე გამოვლენილია შრომის უსაფრთხოების სხვა არსებითი/არაარსებითი შეუსაბამობები	202
ობიექტზე დარღვეულია ელ. გამანაწილებელი მოწყობილობების გამოყენების წესები	194
ობიექტზე ამწე მოწყობილობებს არ გააჩნია შესაბამისი უსაფრთხოების სერთიფიკატი	157
არ არის წარმოდგენილი სამაშველო გეგმა	147
ობიექტზე ქიმიური ნივთიერებები გამოიყენება შესაბამისი ეტიკეტირების გარეშე	122
ობიექტზე არასრულადაა განთავსებული უსაფრთხოების ბადეები და არ არსებობს მათი შემოწმების დოკუმენტი	101
ობიექტზე არ ხორციელდება ხარაჩოების, დამცავი ღვედების, კიბეების, სამუშაო პლატფორმების პერიოდული შემოწმება	98

ობიექტზე დასაქმებულის თავისუფალი ვარდნისგან დაცვის მიზნით არსებული დამჭერი მოწყობილობები არ არის უსაფრთხოდ დამაგრებული	88
ობიექტზე სამშენებლო მოედანი არ არის შემოღობილი	78
ობიექტზე არ არის განთავსებული უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნები	72
ობიექტზე ექსპლუატაციაში მყოფი ჭურჭლის მდგრადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით არ არის დაცული შესაბამისი ნორმები	49
დასაშვებ დონემდე არ არის შემცირებული კოლექტიური დაცვის საშუალებები	47
ობიექტზე არ არსებობს ამწის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი	44
ობიექტზე არ არის დაცული ტვირთის ხელით აწევის მინიმალური მოთხოვნები	44
ობიექტზე არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები/ფუნქციები	34
ობიექტზე ამწის კაბინა არ არის მოწყობილი შესაბამისი წესით	34
ობიექტზე წვადი და აალებადი ნივთიერებები არასწორადაა დასაწყობებული	19
ობიექტზე დიელექტრიკული დაცვის საშუალებების საექსპლუატაციო ვადა დარღვეულია	16
ობიექტზე არ ხორციელდება მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად	14
ობიქტზე არ ხორციელდება სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დამუშავება	13
ობიექტზე არ არის გამოყოფილი ხარაჩოს აწყობა/დაშლაზე პასუხისმგებელი პირი	7
ობიექტზე დარღვეულია ამწეების ექსპლუატაციის წესები	7
ობიქტზე არ ხორციელდება ექსპლუატიაციაში მყოფი ლიფტის ტექნიკური შემოწმების დოკუმენტირება	7
ობიექტზე არ ხორციელდება ელექტრო დანადგარებზე მომუშავე პერსონალის კონტროლი და კვალიფიკაციის შემოწმება ელექტროუსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით	4
ობიექტზე ხარაჩოების, კიბეებისა და სამუშაო პლატფორმების შემოწმება არ ხორციელდება კომპეტენტური პირისა და სამსახურის მიერ, რომელიც უნდა დადასტურდებოდეს დოკუმენტურად, შემოწმების აქტით	3

წყარო: სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური, 2023 წელი